COVID 19-ის პანდემიის პირობებში CSO სექტორის რესურსებისა და საჭიროებების კვლევა



rfsu

ჰერა HERA XXI

COVID 19-ის პანდემიის პირობებში CSO სექტორის რესურსებისა
და საჭიროებების კვლევა

თვისებრივი კვლევის ანგარიში

კვლევის ხელმძღვანელი:

ნინო წულეისკირი - დირექტორი, ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

კვლევის კოორდინატორი:

სალომე იობაძე - პროექტების კოორდინატორი, ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

მკვლევართა ჯგუფი:

ნინო ქოქოსაძე - დირექტორი, შპს ანოვა

ქრისტინე ლორთქიფანიძე - კვლევების კონსულტანტი, შპს ანოვა

მარიამ კვიციანი - კვლევების კონსულტანტი, შპს ანოვა

მაია რობაქიძე - კვლევის ანალიტიკოსი, შპს ანოვა

მადლობა ასოციაცია ჰერა ოცდაერთს და კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპონდენტს.

წინამდებარე კვლევა განხორციელდა შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციის (RFSU) მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის კვლევის მონაწილეებსა და მკვლევართა ჯგუფს და შესაძლოა არ გამოხატავდეს შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციისა და შვედეთის მთავრობის მოსაზრებებს.

©ასოციაცია ჰერა ოცდაერთი

თბილისი, 2020

სარჩევი

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია **5**

2. ინფორმაცია გამოკითხული ორგანიზაციების შესახებ **7**

3. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები **11**

4. ანალიზი და ინტერპრეტაცია **17**

4.1. COVID 19 პანდემიის გავლენა CSO სექტორში მომუშავე ორგანიზაციებსა და მათ ბენეფიციარებზე **17**

4.1.1. CSO სექტორის მზაობა საგანგებო სიტუაციებისთვი 17

4.1.2. COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაზე და ადამიანურ რესურსზე 19

4.1.3. ფინანსური საჭიროებები და დონორი ორგანიზაციები 21

4.1.4. COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის ბენეფიციარებზე 26

4.2. CSO სექტორის რეაგირება და პანდემიის საპასუხო აქტივობებში ჩართულობა **34**

4.3. COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის სერვისებსა და აქტივობებზე 40

4.3.1. დისტანციური სერვისები 41

4.3.2. სამედიცინო სერვისები 44

4.3.3. საგანმანათლებლო სერვისები 48

4.3.4. სათემო და საადვოკაციო აქტივობები 50

4.4. სახელმწიფოს მუშაობა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა **54**

4.5. კრიზისის გამკლავების საუკეთესო პრაქტიკები და რეკომენდაციები **59**

01

კვლევის მიზანი
და მეთოდოლოგია



კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების მიმართულებით, მათ შორის ქალთა უფლებებზე და მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ COVID-19 პანდემიის საპასუხი ქმედებების იდენტიფიცირება. აღნიშნულის ირგვლივ საერთო გამოწვევებისა თუ პრიორიტეტების გამოკვეთა და არსებული გამოცდილების გაზიარება.

კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა:

- როგორი იყო ორგანიზაციების მზაობა კრიზისული სიტუაციებისთვის? არსებობს თუ არა ორგანიზაციებში კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების გეგმა?
- რა გავლენა იქონია COVID-19 პანდემიამ ორგანიზაციის ადამიანურ და ფინანსურ რესურსზე?
- რა გავლენა იქონია COVID-19 პანდემიამ ორგანიზაციის სერვისებსა და აქტივობებზე? როგორ მოხდა არსებული სერვისებისა და აქტივობების ადაპტირება არსებულ სიტუაციასთან?
- როგორი იყო დონორების დამოკიდებულება მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით?
- რა გავლენა იქონია COVID-19 პანდემიამ ორგანიზაციის ბენეფიციარებზე? რა საჭიროებები და დამატებითი საზრუნავი გაუჩნდათ მათ?
- როგორი იყო ორგანიზაციების თანამშრომლობა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან?
- რეკომენდაციები არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასევე, სახელმწიფოს მუშაობასთან დაკავშირებით?

კვლევის ძირითადი ამოცანების მისაღწევად განხორციელდა თვისებრივი კვლევა სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. კვლევის სამიზნე სეგმენტს წარმოადგენდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიმღები პირები. თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18 საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა / გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა. COVID-19 პანდემით გამოწვეული პირობებიდან გამომდინარე, შეხვედრები ჩატარდა ონლაინ სივრცეში, ზუმის პლატფორმის გამოყენებით.

02

ინფორმაცია გამოკითხული ორგანიზაციების შესახებ

ინფორმაცია გამოკითხული ორგანიზაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება	ორგანიზაციის შესახებ	ორგანიზაციის ბენეფიციარები	ორგანიზაციის პროგრამული მიმართულებები
ქალთა მზერა	ორგანიზაცია დაარსდა 2015 წელს; ძირითადად ოპერირებს თბილისში.	ქალები, კულტურული და რელიგიური უმცირესობები	ქალების შრომის პოლიტიკა, კულტურული და რელიგიური უმცირესობების უფლებები, სქესობრივი და რეპროდუქციული საკითხები, უსაფრთხო კიბერ სივრცის შექმნა, სხვადასხვა მედიუმებით (გაზეთი, წიგნები, საიტი, სხვადასხვა სოც.ქსელები და ა.შ) ცოდნის გავრცელება.
თანაზიარი - რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი	ორგანიზაცია არსებობს 2000 წლიდან; მუშაობის გეოგრაფიული არეალი: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი.	ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები და არასრულწლოვნები, მარტოხელა დედები, პატიმრები	ადამიანის უფლებები; ქალთა უფლებები; ჯანდაცვა; პატიმართა უფლებები; გენდერული თანასწორობა.
საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი	ორგანიზაცია არსებობს 2000 წლიდან; მუშაობის გეოგრაფიული არეალი: ქვემო ქართლის რეგიონი.	საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალები და არასრულწლოვნები	საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელ ქალთა ინტეგრაციის ხელშეწყობა; ქალებისა და ბავშვებისთვის კულტურული, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და კულტურული ღონისძიებების წარმართვა; გენდერული ძალადობის აღმოფხვრა; ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა შორის ურთიერთობის ხელშეწყობა
სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება	ორგანიზაცია არსებობს 2001 წლიდან; მუშაობის გეოგრაფიული არეალი: სამცხე-ჯავახეთის რეგიონი	ძალადობის მსხვერპლი ქალები და მათი შვილები, რეგიონში მცხოვრები ქალები, რომელთაც ჯანდაცვის კუთხით ესაჭიროებათ დახმარება	ქალთა განათლება, ჯანდაცვა და ძალადობისგან ქალების დაცვა; სომეხი ქალების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სკრინინგ და C ჰეპატიტის პროგრამები.
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ორგანიზაცია დაარსდა 1994 წელს; ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით	შეუზღუდავად, ყველა პირი, რომელსაც ესაჭიროება სამართლებრივი დახმარება	სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, კონსტიტუციური სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართალი, მედია სამართალი.
ებრაელ ქალთა ფონდი ლეა	ორგანიზაცია არსებობს 1998 წლიდან;	საქართველოში მცხოვრები ებრაელი ქალები და ბავშვები	განათლება, გენდერი, ადამიანის უფლებები

პლატფორმა ახალი შესაძლებლო-ბებისთვის	ორგანიზაცია არსებობს 2016 წლიდან;	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები	შშმ ქალთა რეპრეზენტაცია ადამიანის უფლებათა მოძრაობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულებისას შშმ ქალთა ინტერესების გათვალისწინება; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.
იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა	ორგანიზაცია არსებობს 1995 წლიდან; ოპერირებს რეგიონებში, სადაც მაღალია დევნილთა სიმჭიდროვე და კონფლიქტის გამყოფ ზოლთან/ ოკუპირებულ ტერიტორიებზე	იძულებით გადაადგილებული ქალები და მათი ოჯახები; ხანდაზმულები, პატიმრები და პრობაციონერები	კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, გოგონებისა და დევნილების უფლებების ადვოკატირება; იურიდიული კონსულტაციები; სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება; პროფესიული მომზადება; სოციალური დახმარება.
ასოციაცია იმედი	ორგანიზაცია არსებობს 1999 წლიდან; მუშაობის გეოგრაფიული არეალი: სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთში მცხოვრები ქალები და ახალგაზრდა გოგოები; იძულებით გადაადგილებულები და კონფლიქტის ხაზთან მცხოვრები ქალები და გოგოები.	განათლება; დევნილების პრობლემებზე ზრუნვა; გენდერული საკითხები; კონფლიქტების მოგვარება
ბოლნისის ენის სახლი	ორგანიზაცია დაფუძვნდა 2007 წელს; მუშაობის გეოგრაფიული არეალი: ქვემო ქართლი	ეთნიკური უმცირესობები	ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო საკითხები
ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ორგანიზაცია არსებობს 2003 წლიდან;	ქალები, ეროვნული უმცირესობები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი	ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა; გენდერული ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა; ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება; ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა და ეკონომიკური გაძლიერება; საზოგადოების ინფორმირების გაზრდა გენდერულ საკითხებზე.
ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი	ორგანიზაცია არსებობს 2003 წლიდან	ქალები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი,	იურიდიული მომსახურება, ფსიქო-სოციალური დახმარება, თავშესაფრის მომსახურება.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი	ორგანიზაცია დაფუძვნდა 2000 წელს;	ლგბტ თემი, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, სოფლად მცხოვრებნი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფის წარმომადგენელი ქალები.	ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა როგორც პერსონალურ, ისე ინტერპერსონალურ დონეზე; ქალთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა ადვოკატირებისა და ლობირების გზით; თანასწორობის იდეების, ფემინისტური ხედვის, ქალთა და უმცირესობათა უფლებების პოპულარიზაცია და საზოგადოებაში მათი უფლებების მიმართ პატივისცემის დამკვიდრება.
საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა	ორგანიზაცია არსებობს 2000 წლიდან;	ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები, კომერციული სექსის მუშაკები, ახალგაზრდები, პატიმრები, ლგბტ თემი, ტრეფიკინგის მსხვერპლი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ აივ/შიდსი, იძულებით ადგილნაცვალი პირები	სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის გაწევა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის; საკონსულტაციო და ტექნიკური დახმარების გაწევა სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის; მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის გაუმჯობესებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების.
პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის	ორგანიზაცია არსებობს 2012 წლიდან;	სოციალურად დაუცველი პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები, მარტოხელა დედები, ბავშვები, ლგბტქ თემი	ფსიქო-სოციალური და იურიდიული დახმარება.
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი	ორგანიზაცია დაფუძვნდა 2013 წელს;	შეუზღუდავად, ყველა პირი	ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს უფლებათა სწავლებას, დოკუმენტირებასა და ადვოკატირებას.
საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი	ორგანიზაცია არსებობს 2007 წლიდან	ქალები	ქალების გაძლიერება
დამოუკიდებელი ექსპერტი	2000 წლიდან მუშაობს ქალთა უფლებებზე და გენდერული თანასწორობის მიმართულებით	ქალები	ქალი და პოლიტიკა; ოჯახში ძალადობა

03

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე, ადამიანურ და მატერიალურ რესურსზე

კვლევის შედეგად ვლინდება, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეულ საგენგებო მდგომარეობას, არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციათა უმეტესი ნაწილი მოუმზადებელი შეხვდა. თუმცა, გამოკითხული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანახმად, მათ მალევე შეძლეს ახალ ვითარებასთან ადაპტირება და სამოქმედო გეგმის შემუშავება. უმეტესად, კრიზისულ სიტუაციაში მოქმედების გეგმა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიერ შემუშავდა და მოიცავდა როგორც საოფისე მუშაობის, ასევე არსებული სერვისებისა და პროგრამების ონლაინ სივრცეში გადატანას.

> ტენდენციის სახით ვლინდება, რომ მიმდინარე პანდემიის დროს შემუშავებული კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების გეგმა, მხოლოდ პანდემიით შექმნილ შეზღუდვებზე და საგანგებო მდგომარეობაზეა მორგებული. შესაბამისად, ნაკლებად გამოდგება სხვა ტიპის საგანგებო მდგომარეობებისთვის (მაგ: საომარი ვითარება), რაც ნიშნავს, რომ ორგანიზაციები კვლავ მოუმზადებლები შეხვდებიან ახალი ტიპის კრიზისულ სიტუაციას.

> იმის გათვალისწინებით, რომ არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აქვთ აკუმულირებული ფინანსური რესურსი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, ასევე არ ჰყავთ ექსპერტი, რომელიც შეიმუშავებდა ნებისმიერ კრიზისულ სიტუაციაში სამოქმედო გეგმას, მნიშვნელოვანია ამ მხრივ ორგანიზაციების მხარდაჭერა სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მხრიდან, როგორც ფინანსური რესურსის, ასევე ექსპერტული ჩართულობის თვალსაზრისით.

სამუშაო პროცესის ონლაინ სივრცეში გადატანამ, არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებს შესაძლებლობა მისცა არ შეეჩერებინათ მუშაობა. თუმცა აღნიშნულ პროცესს გარკვეული გამოწვევები მოჰყვა, როგორც ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობის, ასევე ბენეფიციარებისთვის არსებული სერვისების მიწოდების თვალსაზრისით.

ორგანიზაციების ყოველდღიური საქმიანობის დისტანციურ რეჟიმში გადატანას სირთულეები მოჰყვა ერთი მხრივ ტექნიკური რესურსის, ხოლო მეორე მხრივ, მომუშავე ადამიანების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის კუთხით. კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ რთული იყო თანამშრომლების კომპიუტერებით და სხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდათ სახლში ცალკე სამუშაო სივრცე, რის გამოც ოჯახის წევრებთან ერთად მუშაობა უწევდათ, რთული იყო სამუშაო საათების კონტროლი. თუმცა, მიუხედავად სირთულეებისა, გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ პანდემიის დროს შეძლო თანამშრომელთა შენარჩუნება / არ მოუწია გაშვება.

ფინანსურ რესურსი და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა

COVID-19 პანდემიის შედეგად, ქვეყანაში შემოღებული აკრძალვებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შეიცვალა ორგანიზაციების ფინანსური საჭიროებები: გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციების ხარჯის შემცირება უმეტესწილად განაპირობა ფიზიკური შეხვედრების აკრძალვამ, რის შედეგადაც ორგანიზაციას დაეზოგა ტრენინგის/შეხვედრის ოთახის ქირის, ტრენინგისთვის საჭირო საკანცელარიო ნივთების (ფურცლები, პოსტერები, მარკერები, კალმები), ქეითერინგის, ტრანსპორტირების ხარჯები. ახალი საჭიროებები, რომელიც პანდემიის პირობებში მუშაობასთან დაკავშირებით გაჩნდა ეხებოდა: დისტანციური სერვისების გამართვას, პროგრამულ გაუმჯობესებას, ახალი კადრების აყვანას, თანამშრომელთა ტრანსპორტირების ხარჯებს, ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის ვალდებულებას. მათთვის, ვისაც ოფისი ქირით აქვს, პრობლემატური საკითხი აღმოჩნდა ქირის გადახდა და ოფისის შენარჩუნება. კვლევის თანახმად, რამდენიმე ორგანიზაციამ ოფისის შენარჩუნება ვერ შეძლო.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ერთეული გამონაკლისის გარდა, არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებს არ ჰქონიათ რაიმე ფინანსური რესურსი, რომელიც გაუთვალისწინებელ შემთხვევაში შეეძლოთ, გამოეყენებინათ, რის გამოც, ორგანიზაციებმა დაიწყეს მინი გრანტების პროგრამებით დაინტერესება და ასევე, არსებულ დონორებთან მოლაპარაკება მიმდინარე პროექტების ბიუჯეტის შეცვლასთან დაკავშირებით.

- დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა ძირითადად პოზიტიურად ფასდებოდა - რესპონდენტების თანახმად, დონორი ორგანიზაციები როგორც წესი იჩენდნენ მოქნილობას არსებული ფინანსური რესურსის სხვა მიმართულებით ხარჯვასთან ან ახალი დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებით. თუმცა, გამოიკვეთა, რომ: 1) დონორი ორგანიზაციები ფინანსების განკარგვის მეტ თავისუფლებას შედარებით უფრო დიდ ორგანიზაციებს აძლევდნენ, ხოლო მცირე არასამთავრობო ორგანიზაციებს მეტად ჰქონდათ შეზღუდვები ხარჯების გადანაწილების ნაწილში. 2) რიგ შემთხვევაში დონორებთან მოლაპარაკების პროცესი გართულებული იყო ბიუროკრატიული პროცედურებით, კომუნიკაცია დროში იწელებოდა, რაც, ბუნებრივია აფერხებდა ორგანიზაციების მხრიდან ახალ საჭიროებებზე დროულ რეაგირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციებს ქონდეთ კრიზისულ სიტუაციებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი - ფონდი, საიდანაც საგანგებო მდგომარეობებში შეძლებენ თანხის თავისი შეხედულებისამებრ ხარჯვას მიმდინარე საჭიროებებზე დროულად საპასუხოდ.

COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის მიმდინარე და დაგეგმილ სერვისებსა და პროგრამებზე

ორგანიზაციების მიმდინარე/დაგეგმილი სერვისებისა და აქტივობების ძირითადი ნაწილი დისტანციურ სივრცეში გადავიდა, თუმცა, საჭირო გახდა ზოგიერთი შეხვედრის / ღონისძიების გადადება პანდემიის დასასრულისთვის (მაგალითად ტრენინგები, სათემო შეხვედრები, დიდი კონფერენციები, საზღვარგარეთ ვიზიტები). აქვე, აღსანიშნავია, რომ დისტანციური სერვისები არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ბენეფიციარებისთვის, რომელთაც არ აქვთ კომპიუტერი და/ან ინტერნეტი. რესპონდენტთა თანახმად, ასეთ სეგმეტს, ძირითადად, წარმოადგენს სოციალურად შეჭირვებული ფენა, რეგიონის მოსახლეობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამები** - პანდემიის შედეგად გამოწვეულ მდგომარეობაში ყველაზე მარტივი აღმოჩნდა საგანმანათლებლო ტიპის სერვისების ადაპტირება. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ონლაინ ჩართვას უფრო მეტი ადამიანი ესწრება და ინფორმაცია უფრო ფართო აუდიტორიისთვის ხდება ხელმისაწვდომი. თუმცა, რესპონდენტების თანახმად, ონლაინ სივრცეში ჩატარებული შეხვედრები არ არის ისეთივე ეფექტური, ხშირ შემთხვევაში რთულია მონაწილეებთან რაპორტის დამყარება და მათი ჩართულობის შენარჩუნება.

- **სამედიცინო სერვისები** - რესპონდენტების თანახმად, COVID-19 პანდემიის გავლენით არ შეჩერებულა სამედიცინო სერვისების მიწოდება. ექიმებთან და სხვა სპეციალისტებთან დაგეგმილი ვიზიტები დისტანციურად ხორციელდებოდა, თუმცა, გადაუდებელ შემთხვევაში სერვისის მიღება ადგილზეც იყო შესაძლებელი. თუმცა, დროებით შეჩერდა სამედიცინო აქტივობები, რომელიც სხვადასხვა პოპულაციასთან საგანმანათლებლო შეხვედრებს, კონსულტაციებსა და არაგეგმიურ ონკოლოგიურ ან გინეკოლოგიურ შემოწმებებთან იყო დაკავშირებული.

- **მედიკამენტებისა და სხვა საშუალებების მიწოდება** - გამოკითხულთა თანახმად, არ შექმნილა მედიკამენტების და სხვა საშუალებების (კონტრაცეპტივები, კონდომები, ჰიგიენური საფენები) მარაგის დეფიციტი; თუმცა, კრიტიკულად შეფერხდა მედიკამენტების დისპანსერებიდან გაცემის პროცესი.

- **სათემო და საადვოკაციო აქტივობები** - COVID-19 პანდემიის გავლენა მნიშვნელოვნად აისახა ორგანიზაციების დაგეგმილ სათემო და საადვოკაციო აქტივობებზე. რესონდენტების თანახმად, ფაქტობრივად, სრულიად ჩაიშალა პანდემიის კრიტიკულ პერიოდში ჩანიშნული სათემო შეხვედრები გადაადგილებისა და სოციალური თავყრილობების აკრძალვის გამო.

COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის ბენეფიციარებზე და არასამთავრობო სექტორის რეაგირება

კვლევის თანახმად, საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებით იმოქმედა სოფლის მოსახლეობასა და მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა ხანდაზმულები, შშმ პირები, ფსიქიკური აშლილობისკენ მიდრეკილი ადამიანები, არასრულწლოვნები, ქალები, ლგბტ თემის წარმომადგენლები, ეთნიკური უმცირესობები.

COVID-19 პანდემიით შექმნილი ვითარების საპასუხოდ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ნაწილმა, ბენეფიციარების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, ჩაატარა კვლევა, რაც დაეხმარათ ორგანიზაციებს უფრო ეფექტურად გაენაწილებინათ რესურსი და ყველაზე მოწყვლადი პოპულაციების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულიყვნენ. აღნიშნული კვლევებით გამოვლინდა, რომ ბენეფიციარების მთავარი პრობლემა სამსახურის დაკარგვით გამოწვეული ფინანსური და გამწვავებული ფსიქო-ემოციური მდგომარეობა იყო. ბენეფიციართა ნაწილისთვის, პრობლემას წარმოადგენდა სამსახურების დაკარგვის შემდეგ, სახელმწიფო დახმარების მიღებაც.

> აღნიშნული პოზიტიური გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კრიზისული სიტუაციების დასაწყისში სათანადოდ იქნას შესწავლილი ბენეფიციარების საჭიროებები. ამასთან, რეკომენდებულია, ინფორმაციის მოპოვება არა მხოლოდ საჭიროებებზე, არამედ იმაზე, თუ ბენეფიციარების რა ნაწილისთვის არის ხელმისაწვდომი დახმარება, რა ნაწილი ხდება სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი აქტივობების მიღმა და რა არის მათთვის დახმარების მიღების მთავარი ბარიერები. მიმდინარე კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ არ ფლობენ აღნიშნულ ინფორმაციას.

აღნიშნულის გარდა, მოწყვლადი ჯგუფების მიმართ გამოიკვეთა სხვა პრობლემებიც:

- **საგანგებო პერიოდში იყო ოჯახური ძალადობის ზრდის რისკი** - გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილის ინფორმაციით, თავიანთ ორგანიზაციაში არსებული სტატისტიკის თანახმად, ძალადობის გამოვლენილი შემთხვევების მაჩვენებელი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ გაზრდილია. თუმცა, შსს-ს მონაცემებით ეს ტენდენცია არ დასტურდება. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შსს-ში ოჯახური ძალადობის თემასთან დაკავშირებით შესული შეტყობინებების რაოდენობა მკვეთრად არ განსხვავდება წინა თვეებში გაკეთებული განცხადებების რაოდენობისგან.

- **მიუსაფარი ბავშვები თავშესაფრის გარეშე დარჩნენ** - საიას წარმომადგენლის ინფორმაციით, სახელმწიფო გეგმავდა მიუსაფარ ბავშვთათვის თავშესაფარის გამოყოფას, თუმცა კვლევის მიმდინარეობის პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებული ინფორმაცია, მართლა მოხდა თუ არა სახელმწიფო ორგანოსგან ამ ჯგუფისთვის თავშესაფრის გამონახვა.

- **გამწვავდა ლგბტ თემის მდგომარეობა** - მათი დიდი ნაწილი შემოსავლის გარეშე, უსახლკაროდ და სახელმწიფოს შემწეობის გარეშე დარჩა. გამძაფრდა კონსერვატიული ძალების მხრიდან აღნიშნული თემის წარმომადგენელთა მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის განცხადებები. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, კონსერვატიული ძალების გააქტიურება მაისში, ისედაც, მოსალოდნელი იყო (17 მაისთან დაკავშირებით).

- **პანდემიასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეფერხებით მიეწოდებოდა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების თარგმნის დაგვიანების გამო.** ამასთან, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის, მიმართ პანდემიის პერიოდში განსაკუთრებულად იკვეთებოდა დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რაც გამოწვეული იყო მარნეულის რეგიონში COVID-19 ვირუსის გავრცელების ფაქტით.

- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში **დაიკეტა ხანდაზმულებისა და შშმ პირების დღის ცენტრები,** რამაც ბენეფიციარები აიძულა სახლებში დარჩენილიყვნენ. რესპონდენტების თანახმად, ეს ადამიანები დარჩნენ ყოველგვარი დახმარების და ყურადღების გარეშე.

- **პანდემიის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ იმოქმედა სოფლის მოსახლეობაზეც.** შეფერხდა სოფლის მეურნეობა, ინფორმაციისა და განათლების მიღება, ადგილობრივი მაღაზიების არ არსებობამ გარკვეულ პროდუქტებზე გამოიწვია დეფიციტი.

პანდემიით შექმნილ საგანგებო სიტუაციაში, ბენეფიციარების დასახმარებლად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ბენეფიციარების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება (მედიკამენტები, ჰიგიენის საშუალებები, საცხოვრებელი);

- სამსახურის გარეშე დარჩენილი მოსახლეობისთვის შრომით საკითხებთან დაკავშირებული იურიდიული კონსულტაციების გაწევა. ასევე, მოსახლეობისთვის მარტივად გასაგებ ენაზე, შრომის კანონებისა და საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ, ინფორმაციის მიწოდება;

- შსს-ს მიერ შექმნილი 112-ის აპლიკაციის პოპულარიზაცია, რომელიც ძალადობის მსხვერპლს საშუალებას აძლევდა ხმის ამოღების გარეშე განეცხადებინა ძალადობის ფაქტის შესახებ და გამოეძახებინა მაშველი ძალა.

გამოკითხულ ორგანიზაციათა უმრავლესობა ჩართული იყო თანამშრომლებისა და ბენეფიციარებისთვის ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ აქტივობებში: საგანმანათლებლო კურსებისა და შეხვედრების ჩატარება, ჰიგიენის და უსაფრთხოების დაცვის საშუალებების დარიგება.

საუკეთესო პრაქტიკა

კვლევის მონაწილე ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლისას გამოვლინდა, რომ კრიზისის გამკლავების საუკეთესო პრაქტიკა უმეტესი მათგანისთვის აღმოჩნდა ორგანიზაციის საქმიანობის ადაპტირება ონლაინ სივრცესთან და დისტანციური სერვისების/მომსახურებების შემოღება.

რესპონდენტების თანახმად, პანდემიის პერიოდში ორგანიზაციებში დაინერგა სხვადასხვა ინოვაციები ბენეფიციარებისთვის სერვისის/მომსახურების დისტანციურად მიღების გასამარტივებლად: ზუმის პლატფორმა, ცხელი ხაზი, სატელეფონო კონსულტაცია ექიმთან/იურისტთან/ფსიქოლოგთან, სალექციო ჩართვები ფეისბუქ ლაივის გამოყენებით, ბენეფიციარების მოძიება სხვადასხვა აპლიკაციის მეშვეობით (გაცნობის აპლიკაციები).

> **იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დისტანციური სერვისები არ არის ხელმისაწვდომი ბენეფიციარების ნაწილისთვის, მნიშვნელოვანია მათთვის ინფორმაციისა და სერვისების მიწოდების ალტერნატიული გზების ძიება. გარდა ამისა, აუცილებელია დადგინდეს აღნიშნული პოპულაციის ზომა და მოხდეს მათი მთავარი საჭიროებების იდენტიფიცირება.**

არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლობა გარკვეულ შემთხვევაში, წარმატებული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება რაიმე კონკრეტული საკითხის მოსაგვარებლად, თუმცა, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ორგანიზაციებს

შორის არ არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა. შესაბამისად, გამოითქვა სურვილი, რომ შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება, რომლის საშუალებითაც ორგანიზაციები ერთმანეთს გააცნობენ საჭიროებებსა თუ სამომავლო გეგმებს, რაც ურთიერთდახმარების გარემოებას შექმნის.

> **გამოკითხული ორგანიზაციების თანახმად, კზირისის დროს არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა საკმაოდ ეფექტური იყო. თუმცა, მომავალში უფრო მეტად ორგანიზებული და შეთანხმებული მუშაობისთვის, შესაძლებელია შეიქმნას საერთო პლათოფორმა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, სადაც ორგანიზაციები შეძლებენ გააზიარონ გამოცდილება, ასევე კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში გაუზიარონ ერთმანეთს რესურსი და ერთიანი ძალებით ცადონ ბენეფიციარების საჭიროებებზე ზრუნვა.**

სახელმწიფოს მუშაობის ეფექტურობა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობა

კვლევაში ჩართულ არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, სახელმწიფომ ახალ კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში გამოავლინა მოქნილობა და დროულობა, თუმცა, შეფერხდა სხვა, მანამდე პრიორიტეტული თემები, როგორიცაა ქალების უფლებები, შშმ პირების მდგომარეობა, ლგბტ თემის პრობლემები, დროებით გაუქმდა ან გადაიდო პანდემიამდე ჩანიშნული შეხვედრები კანონმდებლობის დახვეწასთან დაკავშირებით.

რესპონდენტების თანახმად, სახელმწიფოს COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ არსებული სამოქმედო გეგმა არასრულფასოვანი იყო და ნაკლებად ითვალისწინდებდა თვითდასაქმებულ ქალებს, ეთნიკურ უმცირესობებს, ლგბტ თემის წარმომადგენლებს. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილთან სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობდა (მაგალითად, ახალგაზრდა იურისტების ასოციაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, ასევე რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კოორდინირებული მუშაობა ჰუმანიტარული დახმარების დასარიგებლად).

> **იქედან გამომდინარე, რომ არასამთავრობო სექტორი კარგად იცნობს ბენეფიციარების საჭიროებებს, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გაითვალისწინოს ამ სექტორის ცოდნა და და უფრო მეტად გამოიყენოს მათი რესურსი, იმისთვის, რომ მოწყვლადი პოპულაციების ინტერესები გათვალისწინებული იყოს სახელმწიფოს სამოქმედო გეგმაში, როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად საგანგებო სიტუაციებში.**

04

ანალიზი და ინტერპრეტაცია

ანალიზი და ინტერპრეტაცია

4.1. COVID 19 პანდემიის გავლენა CSO სექტორში მომუშავე ორგანიზაციებსა და მათ ბენეფიციარებზე

4.1.1. CSO სექტორის მზაობა საგანგებო სიტუაციებისთვის

კვლევის თანახმად, არასამთავრობო სექტორში მომუშავე ორგანიზაციების უმეტეს ნაწილს არ ჰქონია საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წინასწარ განსაზღვრული გეგმა. კვლევის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეულ მდგომარეობას, მოულოდნელობიდან გამომ-დინარე, ორგანიზაციები მოუმზადებლები შეხვდნენ.

გამოკითხულ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ვინაიდან ორგანიზაციაში არ არსებობდა კრიზისულ სიტუაციაში მოქმედების წინასწარ გაწერილი გეგმა, მათ პანდემიასთან ადაპტირებული სამუშაო გეგმის შემუშავება ფორსმაჟორულ სუტიაციაში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ მოუწიათ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ორგანიზაციის წარმომადგენლებს უცხოელი კოლეგებისგან წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით, რამაც საშუალება მისცათ, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე დაეწყოთ სამუშაოს ადაპტირება.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების გეგმა, ძირითად შემთხვევაში მუშავდებოდა ორგანიზაციის ხელმძღვანელების / მმართველი საბჭოს მიერ და არც ერთ შემთხვევაში არ გამოვლენილა კრიზისული სიტუაციების მართვის ექსპერტის დაქირავების პრაქტიკა. ერთეულ შემთხვევაში ორგანიზაციას პანდემიის პირობებთან ადაპტირებული გეგმა სახელმწიფო ორგანომ მიაწოდა ან მის შესამუშავებლად პარტნიორმა ორგანიზაციამ/დონორმა გამოუგზავნა ექსპერტი.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, პანდემიის პირობებში მუშაობის გეგმა ძირითადად მოიცავდა.

- საოფისე მუშაობის ონლაინ სივრცეში გადატანას და სერვისების დისტანციურად მიწოდების ადაპტირებას.
- ბენეფიციარების საჭიროებების კვლევის ჩატარებას და აქტივობების დაგეგმვას სწორედ ამ საჭიროებებზე ორიენტირებით.
- არსებული ფინანსური რესურსის გადანაწილებას, რისი საშუალებითაც დაზოგილი ხარჯები მიემართა აქტუალური პრობლემების მოგვარებისკენ.

„ჩვენი აქტიური ცხოვრების პერიოდში ჩვენ ამისი არც გამოცდილება გვქონდა და გულწრფელად რომ გითხრათ, არანაირი საჭიროებაც არ გვქონდა, რომ ამას მოვრგებოდით და როდესაც ფაქტის წინაშე დავდექით მოუმზადებლები დავხვდით იმ გაგებით, რომ არ ვიცოდით რა უნდა გაგვეკეთებინა და როგორ უნდა გაგვეკეთებინა"

[თანაზიარი]

„კრიზისულ სიტუაციებში მართვის გაწერილი ფორმა არ გვაქვს მაგრამ ჩვენ დიდი ხანია პროექტებს ვახორციელებთ და სიტყვიერი შეთანხმებით ვიცით რა უნდა გავაკეთოთ სტიქიური უბედურებების დროს, შეფერხებების და კრიზისებისას."

[სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება]

„ჩვენ რაც მოვიმოქმედეთ, როცა დაფიქსირდა ჩვენთან შემთხვევა იყო, რომ ორგანიზაციამ თანამშრომლების უსაფრთხოებისთვის გადაწყვიტა, გადასულიყო დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. რადგან ძალიან ბევრი მოქალაქე მოგვმართავს, საფრთხე იყო ნამდვილად მაღალი. ამიტომ სამართლებრივი კონსულტაციები გადავიდა ონლაინ რეჟიმში.“

[საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია]

„არა, არ გვაქვს ფორს-მაჟორისთვის ესე წინასწარ გაწერილი და სხვათაშორის არც ისეთი მომზადებულები არ ვიყავით ამ პანდემიის პერიოდში. არ ვიყავით. ტყუილს ვერ ვიტყვი.“

[ბოლნისის ენის სახლი]

„არა, არ გვქონია კრიზისის მენეჯმენტზე არავითარი გეგმა, სულ ვამბობდით, რომ უნდა დავწეროთ და ისე მოხდა, რომ დაგვაწერინა კორონამ, თუმცა კორონამ დაგვაწერინა მხოლოდ პანდემიასთან გამკლავების გეგმა.”

[თანადგომა]

„ეს სიტუაცია როდესაც დაიწყო, ჯერ სანამ პანდემია იქნებოდა გამოცხადებული, საკმაოდ ადრე დავიწყეთ ამაზე ფიქრი. ერთერთი ჩვენი დამფუძნებელი სამოვარგარეთ მოოვაწე კლინიცისტია, ის დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ აქ ეპიდემიოლოგებსაც ველაპარაკე და ისეთი პირი უჩანს, პანდემიაში გადაიზრდება და უნდა მივიღოთ ზომებიო. ამაზე ვიმსჯელეთ და სანამ გამოცხადდებოდა პანდემია, მანამდე დავიწყეთ ოფისში მომუშავე ადამიანების დაცოტავება, გადაგვყავდა ადამიანები დისტანციურ მუშაობაზე.”

[თანადგომა]

„ასეთი გეგმა არსებობს, ჯანდაცვის სამინისტრომ გადმოგვცა ასეთი გეგმა. ამ გეგმას ჩვენ ვასრულებთ, მივყვებით, უნდა შევემოწმებინეთ. იყო რაღაცეები მოცემული, რაღაცეები გაკეთდა, რაღაცეები არ გაკეთდა, მაგრამ მთავარი რაც იყო მოთხოვნა ეს ყველაფერი გავაკეთეთ”.

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

„ესე გაწერილი ფორმით ორგანიზაციაში დოკუმენტის ტიპის არ არის, უბრალოდ ყველა ესეთ პერიოდში ორგანიზაციის პრაქტიკაა საბჭო, რომელიც მართავს ორგანიზაციას, ორგანიზაცია იმართება 4 თანაბარუფლებიანი დირექტორით და მნიშვნელოვან პროცესებში ხდება თანამშრომლების ჩართულობა და ერთობლივად მსჯელობთ კონკრეტულ გეგმაზე როგორ უნდა მოვიქცეთ, რა არის ჩვენი საპასუხო გეგმა და რა არის სტრატეგია. შესაბამისად პანდემიასთან დაკავშირებითაც იყო ზუსტად ესე როცა დაიწყო მუშაობით დისტანციურად, რაც უჩვეულო იყო ყველასთვის და ჩვენთვისაც თავისთავად, რაღაცნაირად ერთობლივი შეკრებით გადავწყვიტეთ რა იქნებოდა ჩვენთვის უფრო უსაფრთხო და როგორ უნდა გადაგველაგებინა ჩვენი სამუშაო პროცესი ამ მიმართულებით, შესაბამისად ერთობლივი მსჯელობით მივიდეთ საპასუხო ქმედებებზე.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„დონორმა გამოაგზავნა ექსპერტი, რომელმაც ამ საკითხებზე ოფიციალურად გაგვიკეთა სემინარი.“

[იმედი]

„ჩვენ გვყავს პარტნიორი ამერიკიდან,მათთან ერთად ძალიან სწრაფად მოხდა შემუშავება კრიზისული გეგმის. ამ ეტაპზე ეს გეგმა გვაქვს,თუმცა წინასწარ ეს არც კი გვქონია გათვალისწინებული.“

[საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი]

4.1.2. COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაზე და ადამიანურ რესურსზე

ბუნებრივია, COVID-19 პანდემიის დროს დაწესებული საგანგებო მდგომარეობის და შეზღუდვების გამო, CSO სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებს მოუწია სამუშაო რეჟიმის შეცვლა და დისტანციურ მუშაობაზე გადაწყობა. ორგანიზაციები, რომელთა პროგრამული მიმართულებები, ძირითადად, იურიდიულ და სხვა სახის კონსულტირებას ეხება, მთლიანად გადავიდნენ დისტანციურ მუშაობაზე. თუმცა, ბენეფიციარების საჭიროებებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ორგანიზაციისთვის არ იყო შესაძლებელი ორგანიზაციის მუშაობის მთლიანად ონლაინ რეჟიმში გადაყვანა, რის გამოც მოხდა მხოლოდ ნაწილობრივი დისტანცირება და თანამშრომლების ნაწილი როტაციის წესით აგრძელებდნენ ოფისში ფიზიკურად მისვლასაც.

რესპონდენტების თანახმად, მომსახურების ონლაინ სივრცეში გადატანამ არასამთავრობო სექტორს საშუალება მისცა არ შეეჩერებინათ მუშობა. თუმცა, ორგანიზაციების სამუშაო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადაწყობას თან ახლდა გარკვეული გამოწვევები, რაც უპირატესად ტექნიკურ საკითხებს, თანამშრომლების სამუშაო გარემოს და მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას უკავშირდებოდა:

- საოფისე ტექნიკის შეზღუდული რესურსი - რესპონდენტის თანახმად, პანდემიის პერიოდში საჭირო გახდა საოფისე ტექნიკის (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი) განაწილება თანამშრომლებისთვის, რათა შეუფერხებლად შეძლებოდათ მუშობა. თუმცა, ერთეულ შემთხვევაში აღინიშნა, რომ ვერ მოხერხდა თანამშრომლების ტექნიკური უზრუნველყოფა, რამაც მთლიანად გააჩერა ორგანიზაციის მუშაობა.

- დოკუმენტაციის ხელმოწერა - საგანგებო მდგომარეობაში მუშობისას განსაკუთრებული პრობლემა შეიქმნა დოკუმენტების ხელმოწერასთან და ელექტრონული ხელმოწერების აღებასთან დაკავშირებით, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა კომუნიკაცია.

- თანამშრომლების სამუშაო გარემო - რიგ შემთხვევაში გამოვლინდა, რომ დისტანციურ მუშობაზე გადასული თანამშრომლებისთვს განსაკუთრებულ დისკომფორტს ქმნიდა საოჯახო ვალდებულებები და არასამუშაო გარემო. რესპონდენტების თანახმად, თანამშრომელთა ნაწილს მუშაობა უწევდა ოჯახის წევრების გარემოცვაში, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა სამუშაოზე კონცენტრირებას.

- თანამშრომლების ემოციური მდგომარეობა - შექმნილმა სიტუაციამ უარყოფითად იმოქმედა თანამშრომლების, ისევე როგორც ხელმძღვანელობის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. რესპონდენტები საკუთარ პირვანდელ მდგომარეობას პანდემიასთან დაკავშირებით აღწერდნენ, როგორც - დაბნეული, შოკირებული, შფოთვით სავსე.

- სამუშაო საათების კონტროლის სირთულე - გამოვლინდა ტენდენცია, რომ მომსახურების ონლაინ სივრცეში გადატანას მოჰყვა სამუშაო საათების გაუკონტროლებლობა, რაც გამოკითხულების თქმით, აჩენს სამუშაო საათების გაზრდისა და პირადი სივრცის გაქრობის განცდას.

„სამუშაო სივრცე და სამუშაო დრო არიყო ისეთი სტანდარტული როგორიც ოფისში მუშაობისას შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა მეტ ნაკლებად დროის მენეჯმენტს თავად თანამშრომლები ვახერხებთ ხოლმე.“

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

„ელექტრონული ხელმოწერა იყო ჩვენთვის გამოწვევა, ორგანიზაციაში უფლებამოსილ პირებს რათქმაუნდა გვაქვს ელექტრონული ხელმოწერა, მაგრამ ყველა იურისტს არ ჰქონია, ამის საჭიროება არ იყო. აღმოჩნდა, რომ პერსონალურად დასჭირდათ იურისტებს ეს ელექტრონული ხელმოწერა და იცით, რომ მომსახურებები შეჩერებული იყო იუსტიციის სახლები დახურული იყო და იყო სერიოზული გამოწვევა.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

„ალბათ გამონაკლისები არ ვიქნებით, როგორც ყველანი, პერსონალურ დონეზე ამ გავლენისგან ორგანიზაცის წევრები შორს არ ვიყავით, იყო გარკვეული შფოთვა ფსიქო-ემოციური, არევა, რომელიც აღმოჩნდა რომ არავის მხრიდან არ არის მხარდაჭერით უზრუნველყოფილი.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

„მიწევს სახლიდან მუშობა, ტრენინგების ონლაინ რეჟიმში ჩატარება, რაც გულისხმობს ჩემზე ინფორმაციის გავრცელებას და საკმაოდ პრივატულ თემებზე საუბარს. ამ დროს ჩემთან არის მთელი ჩემი ოჯახი და ყველას შეუძლა ჩემი მოსმენა, პლუს ხმაური, პლუს მათაც უწევთ ტელევიზორის გამორთვა, ინტერნეტი ჭედავს, ამიტომ ბავშვს უწევს ინტერნეტის გამორთვა”.

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„თავიდან იყო, რომ არ ვიცოდით რა იყო; შიში იყო და შემდეგ უკვე შეჩვევის მომენტია და მერე რომ გავცნობიერეთ ვიცით რომ ამ ვირუსთან ერთად უნდა ვიცხოვროთ და ადაპტირება მოვახდინოთ როგორღაც და შევეჩვიოთ.“

[ბოლნისის ენის სახლი]

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილისთვის გამოწვევას წარმოადგენდა ასევე თანამშრომელთა შენარჩუნება და ხელფასით უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსის ცვლილებასთან დაკავშირებით განსხვავებული ნაბიჯები გადაიდგა ხელმძღვანელობის მხრიდან. ძირითად შემთხვევაში კონტინგენტი არ შეცვლილა, თუმცა პანდემიის პირობებით გათვალისწინებული აკრძალვების გამო, გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილს მოუწია შეემცირებინა ან კონკრეტული მიზნით გაეზარდა თანამშრომლების რიცხვი.

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების უმეტესობამ, დისტანციურ / ნაწილობრივ დისტანციურ მუშაობაზე გადასული თანამშრომლების სრულად შენარჩუნება შეძლო აქტიური პროექტებით გათვალისწინებული ხარჯების გადანაწილებით.
- ორგანიზაციის პროექტულად მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე, გამოკითხულთა ნაწილმა აღნიშნა, რომ გარკვეული პროექტის დასრულებას ბუნებრივად მოჰყვა თანამშრომელთა შემცირება.
- ორგანიზაციები, რომლებიც სტაციონალურ ან თავშესაფრის მომსახურებით უწევენ დახმარებას საკუთარ ბენეფიციარებს, ქვეყანაში კომენდანტის საათის გამოცხადების შემდეგ იძულებული გახდნენ, დაეხურათ დაწესებულებები და შესაბამისად, დროებით გაეთავისუფლებინათ თანამშრომლები.

- ერთეულ შემთხვევაში, ორგანიზაციებს მოუწიათ დამატებითი კადრის აყვანა. საქალაქთაშორისო გადაადგილების აკრძალვამ გააჩინა რეგიონებში ადგილობრივი კადრის აყვანის საჭიროება. ხოლო ქალაქს შიდა გადაადგილების აკრძალვამ ერთეულ ორგანიზაციას გაუჩინა მძღოლის აყვანის საჭიროება.

„რაიონებში, სადაც კოორდინატორები გვაყვს, რომელიც გვეხმარება დაგეგმილ საქმეებში, ავიყვანეთ დამატებითი კადრი.“

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„თანამშრომლების გათავისუფლება ნამდვილად არ მომხდარა, ჩვეულებრივად აგრძელებენ მუშობას, თუმცა ეს არ არსი პანდემიასთან დაკავშირებული, ჩვენ პერიოდულად ისედაც ვაცხადებდით ვაკანსიებს საჭიროებიდან გამომდინარე და ეს პროცესიც არ შეფერხებულა და ამ პერიოდშიც ვატარებდით გასაუბრებებს ონლაინ რეჟიმში.“

[საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია]

„არ ჰქონია გავლენა. მძღოლი ავიყვანეთ სხვა, რომელიც იქვე ცხოვრობდა, რომელიც იქვე იმოძრავებდა და თუ რამე დაგვჭირდებოდა იქვე მისულიყო, გარეშე აღარ ყოფილიყო და შიგნით არ შესულიყო და ა. შ. იმიტომ, რომ ტრანსპორტი და არაფერი არ იყო.“

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

„ჩვენი ორგანიზაციის სამედიცინო ცენტრი, რომელიც ორგანიზაციასთან არსებობს, ის იყო პედიატრიული განყოფილება ის 24 საათი მუშაობდა. როდესაც ქვეყნის მასშტაბით კომენდანტის საათი იყო გამოცხადებული და საკომენდანტო საათი იყო 9 საათიდან, ამრი არ ჰქონდა, რომ ექიმები და პედიატრები და მედდები სამედიცინო ცენტრში გამოსულიყვნენ სამუშაოდ, თუნდაც 6 საათზე. ხელფასებს ვერ გადავუხდიდი მაგათ, რადგან სამედიცინო ცენტრის ექიმები ზოგი არის მოჭრით ხელფასზე, მაგრამ ზოგიერთი არის დამოკიდებული შემოსავალზე.“

[იმედი]

4.1.3. ფინანსური საჭიროებები და დონორი ორგანიზაციები

კვლევის თანახმად, COVID-19 პანდემიის შედეგად ქვეყანაში შემოღებული აკრძალვებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შეიცვალა ორგანიზაციების ფინანსური საჭიროებები.

გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციების ხარჯის შემცირება უმეტესწილად განაპირობა ფიზიკური შეხვედრების აკრძალვამ, რის შედეგადაც ორგანიზაციას დაეზოგა ტრენინგის/შეხვედრის ოთახის ქირის, ტრენინგისთვის საჭირო საკანცელარიო ნივთების (ფურცლები, პოსტერები, მარკერები, კალმები), ქეითერინგის, ტრანსპორტირების ხარჯები. თუმცა, გაჩნდა ახალი საჭიროებები, რომელიც მოიცავდა:

- **დისტანციური სერვისების გამართვას** - ვებ-გვერდის გაუმჯობესება, ფეისბუქ გვერდის გააქტიურება, ქოლცენტრი სატელეფონო კონსულტაციებისთვის;
- **პროგრამულ გაუმჯობესებას** - ზუმის პლატფორმის ყიდვა, საინფორმაციო ვიდეო-რგოლების აწყობა;
- **ახალი კადრების აყვანას -** მძღოლი;

- **თანამშრომელთა ტრანსპორტირების ხარჯებს - ტაქსის ან საწვავის ხარჯები საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკრძალვის დროს**
- **ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას** - პირბადეები, ანტიბაქტერიული ხსნარები, ბახილები, სამედიცინო ხელთათმანები.

„გადათამაშება მოხდა რაღაცეებზე, იქ წახალისება მოხდა მოხალისეების, რაღაცა თანხები გამოიყო იმისთვის რომ ხარისხიანი ვიდეო ბლოგი შექმნილიყო. უფრო ბენეფიციარებზე გაიცა ეს თანხები ვიდრე ჩვენს სახელფასოზე, საჭირო იყო იმ მომენტში ძალიან.“

[ქალთა საინფორმაციო ცენტრი]

„დავიწყეთ აქტიური კონსულტაციები, შესაბამისად დაგვჭირდა დონორებთან თანხების გადალაგება ამისთვის მოგვეთხოვა იმიტომ, რომ გავაკეთეთ ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს, რომელმაც დაკარგა სამსახური ან რაღაც პრობლემები შეექმნა შრომით დავებთან დაკავშირებით გვირეკავდა და ჩვენ ყველა ამ კუთხით ვცდილობდით დახმარება გაგვეწია.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„ეს არის ოფისის აღჭურვის ნაწილი დეზინფექციის და შესაბამისი ეს ხსნარები და ბევრი ეს პროცედურები, ნიღბები, რაც საჭიროა და მეორე ეს არის თანამშრომლების ტრანსპორტირება ეს იყო ის ხარჯები, რაც აქამდე არ დაგვჭირვებია.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხარჯი,რომელიც ყველა პროექტში არის ხოლმე ეს არის ლანჩის და ქოფი ბრეიქის თანხა, რომელიც ყოველთვის გაწერილია ხოლმე და ახლა ეს გაგვითავისუფლდა, შესაბამისად შევძელით შესაბამისი პირების დაქირავება. ასევე გაგვითავისუფლდა ტრანსპორტირების თანხა, რომელიც ბევრი არ არის, თუმცა თავისუფალი თანხაა. თუმცა გაგვემარდა სოციალური მედიის თანხები, დიზაინის თანხები.“

[საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი]

ბიუჯეტის სიმწირიდან გამომდინარე კრიტიკულად პრობლემატური აღმოჩნდა პანდემიის პერიოდში ოფისის შენარჩუნების საკითხი მათთვის, ვისაც ფართი იჯარით აქვთ აღებული**.** დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის მიუხედავდ, ორგანიზაციებს მაინც ჰქონდათ ოფისის ქირის გადახდის ვალდებულება, რაც ფაქტობრივად არამიზნობრივი ხარჯი იყო ორგანიზაციებისთვის პანდემიის პერიოდში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. ამ სიტუაციას გაუმკლავდნენ ის ორგანიზაციები, რომელთაც პანდემიის პერიოდში ჰქონდათ მიმდინარე პროექტები. სხვა ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს ოფისების შენარჩუნება.

„ყველაზე მთავარი არის ის რომ, ჩვენ როცა პროგრამები გვაქვს, ყველა ოფისი მაქვს იჯარით აღებული, 5 ოფისიდან 4 ოფისი არის იჯარით აღებული, დაკეტვის შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს ფონდი, რომელი ფონდიდანაც ავიღებდით ამ თანხებს და ამ ფონდების გამოყენებით შევინარჩუნებდით ოფისებს.“

[თანაზიარი]

„ჩვენი ორგანიზაცია მთლიანად დაიკეტა. დისტანციურად მუშობას ვერ ვახერხებთ, კომპიუტერული ტექნიკა არ გვაქვს შესაბამისი. ოფისიც დავკარგეთ, იმიტომ, რომ ვქირაობდით ფართს და ვეღარ გადავიხადეთ.“

[ლეა]

„ჩვენ გაგვიმართლა რომ რაღაც პროექტები დაწყებული იყო ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ავღმოვჩნდებოდით პანდემიის პერიოდში რაღაც პროგრამები რომ დასრულებულიყო, მაშინ ვიქნებოდით ყველაზე ცუდად. მაშინ იქნებოდა თანამშრომლებისთვის კონტრაქტების დასრულება და ხარჯი. ჩვენ ვიხდიდით ოფისის ქირას 3 თვის განმავლობაში, ვერ ვსარგებლობდით და მაინც საკმაოდ დიდ თანხას ვიხდიდით და ამ პერიოდში თუ ეს პროექტები არ გვექნებოდა რეალურად შეიძლებოდა ჩვენ მუშაობა ვერც კი გაგვეგრძელებინა.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობა საზრდოობს მხოლოდ პროექტული ანაზღაურებებით და დაწესებულებას არ გააჩნია საკუთარი, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის გაწერილი ბიუჯეტი. მხოლოდ ერთეული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციაში ჰქონდათ გარკვეული რესურსი ახალი ფინანსური საჭიროებების გამკლავებისთვის. ამან, ერთი მხრივ გამოიწვია ორგანიზაციების ორიენტირება სწრაფი დახმარების გრანტებზე, ხოლო მეორე მხრივ დონორებთან მოლაპარაკებებით შეძლეს ფინანსების გადანაწილება ნაკლებად აქტუალურიდან მეტად მნიშვნელოვანი საჭიროებებისკენ.

- მხოლოდ ერთეულ ორგანიზაციას მოუწია მუშაობის საერთოდ შეჩერება. ამ შემთხვევაში ორგანიზაციამ ტექნიკური საშუალებების გაუმართაობის გამო ვერ შეიტანა პროექტული განაცხადი გრანტის მოსაპოვებლად, შესაბამისად, ვერ შეძლო დაფინანსების მოძიება.

კვლევაში მონაწილე CSO სექტორის წარმომადგენლები დადებითად აფასებდნენ პანდემიის დროს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას და მათ მოქნილობას არსებული ფინანსური რესურსის სხვა მიმართულებით ხარჯვასთან ან ახალი დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებით. რესპონდენტების თანახმად, ძირითად შემთხვევებში, დონორებმა გამოავლინეს მოქნილობა და ლოიალურობა ფინანსების გადანაწილებასთან და პროექტების დედლაინების გადაწევასთან დაკავშირებით. ამასთან, ორგანიზაციების ნაწილმა აღნიშნა, რომ პარტნიორმა ორგანიზაციებმა თავად გამოიჩინეს დახმარების ინიციატივა და ორგანიზაციებს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭეს. თუმცა, ერთეულ შემთხვევაში აღინიშნა, რომ დონორი ორგანიზაციები ფინანსების განკარგვის მეტ თავისუფლებას შედარებით უფრო დიდ ორგანიზაციებს აძლევს, ხოლო მცირე არასამთავრობო ორგანიზაციებს მეტად ჰქონდათ შეზღუდვები ხარჯების გადანაწილების ნაწილში.

ასევე, ერთეულ შემთხვევებში გამოვლინდა დონორებთან ურთიერთობის პროცესის ხარვეზები (დროში გაწელილი კომუნიკაცია, დაგვიანებები მეილებზე და ა.შ) ან დონორების მხრიდან უარის თქმა ფინანსების გადანაწილებასა და დედლაინების გადაწევასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ დონორებთან კომუნიკაციას აფერხებდა გარკვეული ბიუროკრატიული პროცედურები, მაგალითად, პროექტის დედლაინის გადაწევისა და ფინანსების გადანაწილების მიზეზის დეტალურად დასაბუთებული დოკუმენტების გადაგზავნა, დაგვიანებული უკუკავშირი მიწერილ მეილებზე.

- ერთეული ორგანიზაციის მხრიდან აღინიშნა, რომ კომუნიკაციის კუთხით, საზღვარგარეთ მომუშავე დონორები, რომელთაც წარმომადგენლობა არ ჰყავთ საქართველოში, უფრო მოქნილები იყვნენ, ვიდრე ქვეყნის შიგნით მოქმედი ორგანიზაციები. რესპონდენტის თანახმად, უცხოეთში მომუშავე ორგანიზაცია უფრო ლოალურია პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობისას და მეტ თავისუფლებას აძლევს ფინანსების მართვის საკითხში.

„დიდ ორგანიზაციებს, რომელთაც ისედაც არ უჭირთ ფინანსურ რესურსში დონორები ლოიალურად ექცევიან და ფინანსების ხარჯვაში მეტ თავისუფლებას აძლევენ,. თუმცა იჩაგრებიან პატარა ორგანიზაციები.“

[ლეა]

„ამ წუთას ვარ იმ პროცესში, რომ ვცდილობ დამატებითი რესურსების მოძიებას უსაფრხოების უზრუნველყოფისთვის და დამატებითი ტრანსპორტირების უზრუნველყოფისთვის. ეს ნიშნავს დამატებითი ხარჯების მოძიებას და არა არსებულის გამოყენებას. იმიტომ რომ არსებული იმდენად მწირია რომ რეალურად არ ხდება ესეთი გადათამაშება, ვერ ხდება.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

„მე გავყოფდი 2 ნაწილად უცხოური დონორი, რომელსაც არ აქვს წარმომადგენლობა საქართველოში და არსებითად სხვა წესებით ოპერირებენ და არსებითად უფრო მოქნილია მიდგომა და მე ვიტყოდი რომ ადამიანური, უფრო რეალისტური და ისინი პირიქით იქით აქტიურობდნენ და გვეუბნებოდნენ რომ აი ნებისმიერი ცვლილება გააკეთეთ რაც ამ წუთას საჭიროა და მოერგეთ რა სიტუაციაც გაქვთ. იგივეს ვერ ვიტყვი საქართველოში მომუშავე დონორ ორგანიზაციებზ, რომელსაც აქვთ ჩემი აზრით ძალიან არამიზნობრივი წესები და ხისტი რეგულაციები, ერთი მხრივ უფლება რომც მოგცეს გადაამუშაო არსებული ბიუჯეტი, ამას იმდენი დრო სჭირდება, რომ ასე არც კი მომხდარა, მაგალითად ამ წუთასაც ერთ-ერთ დონორ ორგანიზაციასთან მაქვს მოლაპარაკება, უფრო სწორად თხოვნები, რომ რეალურად ამ პანდემიამ გაზარდა ხარჯვითი ნაწილი ისეთი ხარჯების და ბიუჯეტის იმ ნაწილის, რომელიც ჩვენ არ გვქონდა გათვალისწინებული და რეალურად, მაგალითად უსაფრთხოებისათვის შესაძენი ნივთები საკმაოდ ძვირია, არ ვიცით საიდან შევიძინოთ და მე ვითხოვ რომ რაღაცის უფლება უნდა მოგვცენ იმიტომ, რომ სხვანაირად დავჯარიმდებით და დაჯარიმებას რომ თავი ავარიდოთ ფული უნდა გვქონდეს რომ წესები შევასრულოთ.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

მინი გრანტების პროგრამები

კვლევის შედეგად ვლინდება, რომ პანდემიის პერიოდში გამოცხადებულ სწრაფი დახმარების გრანტებთან დაკავშირებით ყველა გამოკითხულს ჰქონდა ინფორმაცია. ძირითად შემთხვევაში ორგანიზაციებმა გაიხსენეს ქალთა ფონდის მიერ გამოცხადებული გრანტები.

ორგანიზაციების მიერ მინი გრანტების მოსაპოვებლად მომზადებულ პროექტებში გაწერილი საჭიროებები ორიენტირებული იყო შემდეგ საკითხებზე:

- ბენეფიციარებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა - საკვები, ტანსაცმელი;
- ჰიგიენური და უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო აღჭურვილობის დარიგება;
- ინფორმაციის თარგმნა და გავრცელება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენებზე;
- რეგოინის მოსახლეობისთვის COVID-19 ვირუსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- სოფლად მცხოვრები სკოლის მოსწავლეებისთვის ინტერნეტის ჩართვა;

მეორე მხრივ, ორგანიზაციების ნაწილს არ უცდია სწრაფი დახმარების გრანტების მოპოვება შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე:

- ორგანიზაციაში არსებული ბიუჯეტის გამო საჭირო არ გახდა გრანტის მოპოვება;
- მიმდინარე პროექტის ბიუჯეტში წინასწარ იყო გაწერილი გაუთვალისწინებელი ხარჯები, რამაც ორგანიზაციას საშუალება მისცა გამოეყენებინათ ეს თანხა ადმინისტრაციული საჭიროებებისთვის;
- დონორმა/პარტნიორმა ორგანიზაციამ გრანტის გარეშე დაუკმაყოფილა საჭიროებები;
- საგრანტო თანხები ორგანიზაციებისთვის არ იყო მისაღები;
- არსებობდა განცდა, რომ გრანტების მოპოვება მხოლოდ დიდ ორგანიზაციებს შეეძლოთ და პატარა ორგანიზაციები მაინც ვერ გაიმარჯვებდნენ.
- არსებობდა განცდა, რომ დონორები გრანტებს გასცემენ მხოლოდ, უშუალოდ ბენეფიციარების აქტუალური საჭიროების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულ და არა ორგანიზაციის ადმინისტრაციული ტიპის მოთხოვნებისკენ მიმართულ პროექტებში. ორგანიზაციების ადმინისტრაციულ საჭიროებებში მოიაზრება, ოფისის შენარჩუნებისთვის ან კომპიუტერის შესაძენად საჭირო თანხები.

ორგანიზაციების უმრავლესობა გამჭვირვალედ და სამართლიანად აფასებს გრანტების გაცემას, მათ შორის ისინიც, ვინც საკუთარი პროექტით ვერ მოახერხა ან არც უცდია გრანტის მოპოვება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ COVID-19 პანდემიის პერიოდში, კმაყოფილდებოდა უშუალოდ კორონავირუსის გავრცელების პრევენციისკენ მიმართული და არა პანდემიასთან არაპირდაპირ დაკავშირებულ საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტული განაცხადებები (მაგალითად, რეგიონში/სოფლად მცხოვრები ან სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის ინტერნეტის ჩართვა), რაც სავსებით გასაგები და მისაღებია, ამიტომ არ აჩენს ეჭვს გრანტების გაცემის სამართლიანობასთან დაკავშირებით.

„მე მგონია, რომ გამჭვირვალედ ხდება ამ განტების გაცემა. მე ვნახე რომ ბათუმის ერთ-ერთი ორგანიზაცია დააფინანსეს".

[სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება]

„სამართლიანი იყო იმიტომ რომ მე ვადევნებდი თვალყურს და დაფინანსდა ისეთი პროექტი იმ პერიოდში, ჩემი ითვალისწინებდა ფსიქოლოგიურს და პლიუს ამ ბავშვებისთვის ინტერნეტის ჩართვას და დაფინანსდა ისეთი პროექტი, რომელიც სოფლებში გავიდა და COVID-19-ზე ინფორმაცია აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე გაავრცელა და რატომღაც ვიფიქრე რომ ის უფრო პრიორიტეტული იყო."

[ბოლნისის ენის სახლი]

4.1.4. COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის ბენეფიციარებზე

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ნაწილმა COVID-19 პანდემიის პირველ ეტაპზე ჩაატარა საკუთარი ბენეფიციარების საჭიროებების კვლევა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ ამ პერიოდში ბენეფიციარებისთივს ძირითად პრობლემას სამსახურის დაკარგვით გამოწვეული ფინანსური და გამწვავებული ფსიქო-ემოციური მდგომარეობა წარმოადგენდა**.** როგორც აღმოჩნდა, ბენეფიციარები ვერ იხდიდნენ ბინის ქირას, უჭირდათ საკვების, მედიკამენტებისა და ჰიგიენური საშუალებების (ჰიგიენური საფენები) შეძენა. ამასთან, გამძაფრებული ფსიქო-ემოციური ფონის გამო, მოთხოვნა გაიზარდა ნერვიული აგზნების, უძილობის, წნევის დამწევებსა და გულსისხლძარღვთა დაავადებებთან დაკავშირებულ მედიკამენტებზე.

რესპონდენტების თანახმად, ბენეფიციართა ნაწილისთვის, პრობლემას წარმოადგენდა სამსახურების დაკარგვის შემდეგ, სახელმწიფო დახმარების მიღებაც. დაქირავებულ თანამშრომელთა შემთხვევაში, პრობლემა გაჩნდა დამქირავებლის მხრიდან თანამშრომლების გათავისუფლების კუთხით შრომითი ხელშეკრულებების დარღვევასთან დაკავშირებით, რაც მოიაზრებდა დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ანაზღაურების ან გაუფრთხილებლად გათავისუფლებისთვის არსებული კომპენსაციის გადახდას. თვითდასაქმებულთა კუთხით კი კრიტიკულ საკითხს წარმოადგენდა თვითდასაქმებულობის დადასტურება სახელმწიფოსგან გამოყოფილი ფულადი დახმარების მისაღებად.

საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებით იმოქმედა სოფლის მოსახლეობასა და მოწყვლად ჯგუფებზე, როგორიცაა ხანდაზმულები, შშმ პირები, ფსიქიკური აშლილობისკენ მიდრეკილი ადამიანები, არასრულწლოვნები, ქალები, ლგბტ თემის წარმომადგენლები, ეთნიკური უმცირესობები. გარდა მაღალი ემოციური წნეხისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულებებისა ამ მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, გამოიკვეთა სხვა პრობლემებიც.

„ძირითადად სამუშაოს დაკარგვა ან დროებით შეჩერება და უფრო საჭიროებები იყო ესეთი, კომუნალურების თანხა ან ბინის ქირა, საკვები პროდუქტები, მედიკამენტები. ძირითადად ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება იყო აუცილებელი."

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

„ეს იყო სამსახური ძირითადი პრობლემები რაც დაფიქსირდა, ეს იყო უსახსრობის გამო დარჩენილი ადამიანები, ეს იყო ადამიანები, რომლებსაც საკვების პრობლემები ჰქონდათ, ადამიანები, რომლებიც რეგიონებიდან იყვნენ ჩამოსული, აქ ჩარჩნენ და აქ ქირით ფულს ვერ იხდიდნენ, განსაკუთრებით ეს იყო სტუდენტების ჯგუფი."

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

ქალები და ბავშვები

ყველა გამოკითხული რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საგანგებო მდგომარეობის აკრძალვებმა განაპირობა ოჯახის წევრების ერთ სივრცეში თავმოყრა, რაც ორგანიზაციის წარმომადგენელთა ვარაუდითა და მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის გამოვლენის პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდიდა. გარდა ძალადობისა, გამოვლინდა, რომ ქალებს სხვა მიმართულებითაც შეექმნათ პრობლემები. დამოუკიდებელი ექსპერტის თანახმად, სწორედ ქალები არიან იმ თვითდასაქმებულთა უმეტესობა, რომელთაც პანდემიის პერიოდში სამსახური დაკარგეს და მთლიანად დამოკიდებული გახდნენ ოჯახის სხვა წევრებზე.

კვლევაში მონაწილე CSO სექტორის წარომადგენლებს უჭირდათ ესაუბრათ გაიზარდა თუ არ ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების შედეგად. თუმცა, ორგანიზაციების ნაწილის ინფორმაციით, მათ ორგანიზაციაში არსებული სტატისტიკის თანახმად, ძალადობის გამოვლენილი შემთხვევების მაჩვენებელი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ გაზრდილია.

ამასთან, კვლევის მიმდინარეობისას, როცა საგანგებო მდგომარეობის ბრძანების ვადა ჯერ კიდევ არ იყო გასული, რესპონდენტების ნაწილი ელოდა, რომ ძალადობის თემით მიმართვიანობა ბენეფიციარების მხრიდან კიდევ უფრო გაიზრდებოდა საგანგებო მდგომარეობის ვადის გასვლის შემდეგ. მიზეზად სახელდებოდა, მსხვერპლისთვის ძალადობასთან დაკავშირებული განაცხადის გასაკეთებლად არახელსაყრელი გარემოება. რესპონდენტების აზრით, ძალადობის მსხვერპლს გაუჭირდებოდა ზარის განხორციელება სახლში მოძალადესთან ერთ ყოფნის გამო.

კვლევის მიმდინარეობისას დამუშავდა მეორეული მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროში ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შესული შეტყობინებების შესახებ. შსს-ს სტატისტიკის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში (2020 წლის მარტი, აპრილი, მაისი) ოჯახში ძალადობის შესახებ შესული შეტყობინებების რაოდენობა არ აღემატება წინა თვეებში (2019 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2020 წლის იანვარი, თებერვალი) გაკეთებულ განცხადებათა რაოდენობას **(იხ.დიაგრამა #1)**.

დიაგრამა #1: ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსულ შეტყობინებათა სტატისტიკური მონაცემები

ამასთან, სტატისტიკური განსხვავება არ ფიქსირდება:

ერთი მხრივ, 2019 წლის ნოემბერ - დეკემბერსა და 2020 წლის იანვარი - აპრილის თვეების პერიოდში გაცემულ შემაკავებელ ორდერთა რაოდენობას შორის **(იხ.დიაგრამა #2)**;



მეორე მხრივ, 2020 წლის თებერვალი, მარტი, აპრილის თვეებსა და 2019 წლის, ამავე თვეებში გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის შედარებისას ვხედავთ, რომ 2020 წლის მონაცემები ნაკლებია 2019 წელს გაცემულ ორდერთა რაოდენობაზე. **(იხ. დიაგრამა #3).**



- გამოკითხული ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან დასახელდა კონკრეტული შემთხვევებიც, რომელთა მიხედვითაც, რეგიონში ადგილი ჰქონდა ქმრის მიერ ცოლ-შვილის სახლიდან გამოგდებას მაშინ, როცა საქალაქთაშორისო და სამანქანო გადაადგილება აკრძალული იყო. რეგულაციების გამო, ორგანიზაციას მოუწია ძალადობის მსხვერპლთა დროებით თავშესაფარში განთავსება. გარდა ამისა, გამოვლინდა არასრულწლოვნებზე და ქალზე ძალადობის სხვა მაგალითებიც.

რესპონდენტების თანახმად, ძალადობის პოტენციური მსხვერპლებისთვის პრობლემას წარმოადგენდა 112-ში ან ფსიქოლოგთან ზარის განხორციელება. ამასთან, შეუძლებელი გახდა კომენდანტის საათის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, მოძალადისგან გარიდების მიზნით, სახლიდან გასვლა.

„მე თვითონ შემექმნა პრობლემა ერთხელ. აუცილებლად მოსასვლელი გავხდი იმ მძიმე შეზღუდვების დროს, რადგან ერთ-ერთმა ქალბატონმა მოინდომა აუცილებლად პირისპირ შეხვედრა. მსხვერპლი იყო, მის მეუღლემე იყო შემაკავებელი ორდერი გამოწერილი. მეორე შემთხვევა იყო, გამომიგდეს ქალი სახლიდან შვილებთან ერთად. გავხდი ჩასასვლელი და ჩავედი, იმიტო რო ქუჩაში იყო ბავშვებთან ერთად."

[სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება]

„აპლიკაცია რომ შექმნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მანამდე არსად არ ხდებოდა და ვერ ხდებოდა შეტყობინება. დიდი დიდი ჩვენთან თუ დარეკავდნენ. ამ აპლიკაციის საშუალებით მარტივი გახდა იმათთან დაკავშირებაც. ქალთა მიმართ ძალადობის გარდა, იყო ორი ბავშვზე ძალადობის გამოვლენილი შემთხვევაც."

[სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება]

„ამ დროს ძალიან რთულია, როცა მოძალადესთან ერთად ცხოვრობ განახორციელო ზარი, ფსიქოლოგებიც, რომელბიც უკავშირდებოდნენ სთხოვდნენ, რომ მოგვიანებით გადაერეკათ."

[საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენის შეფასებით, კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ მიუსაფარი ბავშვები, რომელთაც არ გააჩნიათ სახლი და ქუჩაში უწევთ ცხოვრება. რესპონდენტის თქმით, სახელმწიფოსგან მიიღეს პასუხი, რომ მათ მიუსაფარ ბავშვთათვის გამოყვეს თავშესაფარი, თუმცა კვლევის მიმდინარეობის პერიოდში საიას წარმომადგენელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაზუსტებული ინფორმაცია, მართლა მოხდა თუ არა სახელმწიფო ორგანოსგან ამ ჯგუფისთვის თავშესაფრის გამონახვა.

„თუმცა მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით მძიმე სიტუაცია იყო. ამ ბავშვებს შეექმნათ პრობლემა, დარჩნენ ღია ცის ქვეშ. სახელმწიფომ განაცხადა რომ მათ გამოეყოთ თავშესაფარი, თუმცა ამაზე არ გვაქვს გადამოწმებული ინფორმაცია, ვაპირებთ გადავამოწმოთ და შევიტანოთ ჩვენს ანგარიშში."

[საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია]

ლგბტ თემი

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, ლგბტ თემის მდგომარეობა ქვეყანაში განსაკუთრებულად მწვავეა, რადგან სახელმწიფოს მხრიდან დაგეგმილი აქტივობები ნაკლებად ითვალისწინებდა ამ თემის ინტერესებს.

- კვლევის თანახმად, ლგბტ თემის მდგომარეობა, განსაკუთრებით ტრანსგენდერების შემთხვევაში, კიდევ უფრო დამძიმდა. ტრანსგენტერების იმ ნაწილმა, რომლებიც ძირითადად სექს სამუშაოთი ირჩენენ თავს, დაკარგა შემოსავლის ერთადერთი წყარო, დარჩა უსახლკაროდ და სახელმწიფოს მხრიდან, შემწეობის გარეშე, ვინაიდან ეს ჯგუფი არ შეესაბამებოდა კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების გეგმით გათვალისწინებულ ჯგუფებს, შესაბამისად ვერ მიიღებდნენ სახელმწიფო კომპენსაციას.

  ✓ თუმცა, ასევე აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ტრანსგენდერმა გოგომ თავის დაწვა სცადა, ეს საკითხი უფრო მეტად აქტუალური გახდა და სახელმწიფო მეტნაკლებად დაინტერესდა აღნიშნული თემის მდგომარეობით.

- ამასთან, პანდემიის პერიოდში ლგბტ თემის მიმართ გამძაფრდა კონსერვატიული ძალების მხრიდან დისკრიმინაციული ხასიათის მოწოდებები, რომ თითქოს, პანდემია გენდერული უმცირესობების არსებობის გამო გაჩნდა. თუმცა, ერთეული რესპონდენტის აღქმით, მაისში (17 მაისი) კონსერვატიული ძალების გააქტიურება ისედაც მოსალოდნელი იყო.

ექსპერტების შეფასებით, ანტიგენდერული გამოსვლები და მოწოდებები მწვავე პრობლემაა ქვეყანაში, რაც ცხოვრებისთვის საშიშ გარემოს ქმნის გენდერული უმცორესობებისთვის და სახელმწიფოს, საკითხის მიმართ, მეტ ყურადღებისა და ქმედების პასუხისმგებლობას აკისრებს.

„დასაწყისში იყო ეკლესიის რიტორიკა სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით, რომ ეს ვირუსი არის იმის გამო რომ არსებობენ სექსუალური უმცირესობები".

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„გენდერული ასპექტი ყველგან უნდა იყოს გათვალისწინებული, ძალიან მნიშვნელოვანია ეს და რამდენადაც მე ვიცი, ხომ სულ ვკითხულობდი მაგათ ანგარიშებს, არსად არ იყო გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა რომ ყველა მოუწოდებს. მარტო აქიაშვილმა რა უნდა გააკეთოს, მთავარია იყოს პოლიტიკური ნება, არ არსებობს ეს პოლიტიკური ნება. ამიტომაც ეს შემცირება ამ მიმართულებით დაფინანსების, იქ საერთაშორისო ორგანიზაციების ესეთი მონსტრული დამოკიდებულება ამ სახელმწიფოში ეს გენდერული თემა საერთოდ არ არის პოპულარული."

[ქალთა საინფორმაციო ცენტრი]

ეთნიკური უმცირესობები

დაფიქსირდა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს პანდემიასთან ბრძოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას უყურადღებოდ დარჩა ეთნიკური უმცირესობები, რაც გამოიხატა პანდემიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ეთნიკური უმცირესობების ენაზე თარგმნის დაგვიანებაში. ეთნიკურ უმცირესობებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, ვირუსის შესახებ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულმა რეგიონებმა დროულად ვერ შეიტყვეს, რასაც მოჰყვა მარნეულისა და დაბოლნისის კლასტერების შექმნა.

ამასთან, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის, მიმართ პანდემიის პერიოდში განსაკუთრებულად იკვეთებოდა დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რაც გამოწვეული იყო მარნეულის რეგიონში COVID-19 ვირუსის გავრცელების ფაქტით. რესპონდენტების თანახმად, რეგიონების ჩაკეტვამ მოსახლეობაში გააჩინა უსამართლობისა და განსხვავებულობის განცდა, რაც საბოლოოდ, ახალგაზრდების მხრიდან გადაიზარდა საპროტესტო გამოსვლებში.

„გავლენა ის იქონია, რომ ნუ სოფლის მეურნეობა დაზარალდა ეკონომიკურად. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მოულოდნელი იყო ჩაკეტივის მომენტი. ეს სხვანაირად აღიქვეს ახალგაზდებმა, ცოტა უფლებების დარღვევად აღიქვეს. დარჩა ის მომენტი, რომ ვერ გადიოდნენ ვერსად, ახალგაზრდებისთვის იყო რთული. ქალებთან კიდე სხვა პრობლემა იყო. საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე ვერ მოძრაობდა ტრანსპორტით, იქ ბაზრის ჩაკეტვა - ეს მოქმედებდა ქალებზე. ახალგაზრდებს ეგონათ, რომ ისჯებოდნენ და პროტესტის განცდა ჰქონდათ. ამიტო მოგვიწია გარკვეული პროგრამების ფარგლებში მმათთან მეტი გვესაუბრა".

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„აუცილებლად, შემიმჩნევია კი არა, საშინელი ქსენოფობიური კამპანია იყო აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიმართ რაც ჩემთვის იმდენად მიუღებელი და ამაზრზენია რომ მთელი გულით და სულით წინააღმდეგი ვარ ამ ყველაფრის. ჩვენ ჩავერთეთ ამ კამპანიაში, გავავრცელეთ ბევრი მიმართვა, ხელი მოვაწერეთ ოფიციალურ პეტიციას, წარმოუდგენელია იმდენი კოლეგა იმდენი თანამოაზრე გვყავს ამ სეგმენტში."

[ქალთა საინფორმაციო ცენტრი]

„ძალიან ცუდი იყო ეს გამოსვლები ეთნიკური უმცრისებობების წინააღმდეგ, ასევე ანტიგენდერული მოვლენებიც იყო და მე ვფიქრობ,რომ ეს ძალიან საშიშია. და ამაზე სახელმწიფომ უნდა მისცეს რეაქცია."

[თანხმობა]

ხანდაზმულები და შშმ პირები

საგანგებო მდგომარეობის პერიოდში დაიკეტა ხანდაზმულებისა და შშმ პირების დღის ცენტრები, რამაც ბენეფიციარები აიძულა სახლებში დარჩენილიყვნენ. რესპონდენტების თანახმად, ეს ადამიანები დარჩნენ ყოველგვარი დახმარებისა და ყურადღების გარეშე. აღინიშნა, რომ COVID-19 პანდემიის შესახებ ინფორმაცია არ იყო ადაპტირებული შშმ პირებისთვის გასაგებ ენაზე, რაც დაბნეულობას და გაუგებრობას იწვევდა მათში. ამასთან, ხანდაზმულების შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენდა გარეთ გასვლის / გადაადგილების აკრძალვა, რის გამოც წინააღმდეგობა ექმნებოდათ მედიკამენტებისა და საკვების შეძენასთან დაკავშირებით.

- ფსიქიკური აშლილობისკენ მიდრეკილი ადამიანები - ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ შეხვედრების აკრძალვამ, თვითიზოლაციის რეკომენდაციებმა, დღის ცენტრების დახურვამ ფსიქიკური აშლილობისკენ მიდრეკილი ადამიანების ემოციური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაამწვავა. რესპონდენტების თანახმად, ამ ჯგუფს მოაკლდა ადამიანებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა და ემპათიური, მზრუნველობითი დამოკიდებულება გარშემომყოფებისგან. ამასთან, პანდემიის პერიოდში შეუძლებელი გახდა მათთვის დაგეგმილი ფსიქოლოგიური და თერაპიული მომსახურებების გაწევა, რამაც კიდევ უფრო მეტად გააუარესა მათი მდგომარეობა და გარკვეულ შემთხვევებში გააჩინა სტაციონალური მკურნალობის საჭიროებაც.

> *„ჩვენ ამ წუთამდე ვმუშაობდით იმისათვის, რომ რაღაცა თანხები მოვიზიდოთ პაციენტების დასახმარებლად, იმიტომ, რომ კონკრეტულად რომ გითხრათ, მოხუცთა დღის ცენტრი, ხანდაზმულთა დღის ცენტრი რომ გვქონდა, როდესაც ჩვენ შევწყვიტეთ, ჩვენი ხანდაზმულები აღმოჩნდნენ, დარჩნენ სახლში. დარჩნენ ყოველგვარი დახმარების გარეშე, პირადი ჰიგიენისთვის ნივთებიც რომ არ ჰქონდათ, ისე, კვების პროდუქტები რომ არ ჰქონდათ, იმიტომ რომ სახლში დარჩნენ და მიმწოდებელიც არავინ არ ჰყავთ და სანამ ქვეყანაში თვითონ მერიაც დაეხმარა მოგვიანებით, მაგრამ პირველი დღეები ამათ ძალიან გაუჭირდათ, იმიტომ რომ დამოკიდებული იყვნენ ჩვენზე, მოდიოდნენ ჩვენთან, იკვებებოდნენ ჩვენთან და კვების საკითხი მაინც ჰქონდათ მოგვარებული ჩვენი მომსახურების შედეგადა.“* ***[თანაზიარი]***

> *„დღის ცენტრები დაიკეტა საერთოდ, რამაც გამოიწვია ისევ და ისევ იმ ხალხის სახლში დაჯდომა, რომლებიც წლების განმავლობაში ყოველდღიურად დადიოდნენ და სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით. ეს ნიშნავს, რომ აღარანაირი სოციალური მხარდაჭერა აღარ აქვთ. თანაც ამ დღის ცენტრებში შედიოდა კვების კომპონენტიც. ესეც აღარ აქვთ.”* ***[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]***

> *„ბენეფიციარების ნაწილი მუშაობდა ბაზრეში მაგრამ მათი დხმარებაც ვერ მოხერხდა. ეს იწვევს გაღარიბებას, მძიმე სოციალურ ფონს რაც თავის მხრივ იზოლაციასთან ერთად იწვევს ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებას. ბევრი მოხვდა სტაციონარშიც, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც მანამდე არ ჰქონდათ ფსიქიკური პრობლემები.”* ***[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]***

სოფლის მოსახლეობა

პანდემიის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ მრავალმხრივ იმოქმედა სოფლის მოსახლეობაზე. შეფერხდა სოფლის მეურნეობა, ინფორმაციისა და განათლები მიღება, ადგილობრივი მაღაზიების არ არესბობამ გარკვეულ პროდუქტებზე გამოიწვია დეფიციტი.

- სოფლის მეურნეობის კუთხით, შეფერხდა მიწის დამუშავება, მოსავლის აღება, შეუძლებელი გახდა მოსავლის რეალიზება.
- რესპონდენტების თანახმად, სოფლის მოსახლეობის უმეტესობას არ აქვს კომპიუტერი / ტელევიზორი, რაც ერთი მხრივ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებდა მათ, ხოლო მეორე მხრივ, სკოლის მოსწავლეები ვერ ახერხებდნენ განათლების პროცესში ჩართვას.
- საცხოვრებელის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგნენ რეგიონებიდან ქალაქში ჩასული სტუდენტები, რომელთაც საცხოვრებელი ადგილი დროებით ჰქონდათ ნაქირავები. შიდა გადაადგილებების აკრძალვის გამო, ამ ჯგუფმა ვერ შეძლო რეგიონებში დაბრუნება, რის გამოც მოუწიათ საცხოვრებლის ქირის გაუთვალისწინებელი ვადით გადახდა.

„ჩვენი ორგანიზაცია ჩართული იყო ინფორმაციის გავრცელებაში. ჩვენი რეგიონები არის ქვემო ქართლში დმანისი, მარნეული, რომელიც ჩაკეტილი იყო ამ პერიოდში და ბოლნისიც მოყვა ამ ამბავში. აქ ერთ-ერთი მწვავე პრობლემა იყო ის, რომ დროულად არ იყო ინფორმაცია მიწოდებული. მართალია, იცოდა მოსახლეობამ რა სიტუაცია იყო მსოფლიოში მაგრამ სამწუხაროდ სოფლის მოსახლეობას ნაკლებაი ინფორმაცია ჰქონდა.”

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„ეს იყო სამსახური ძირითადი პრობლემები რაც დაფიქსირდა, ეს იყო უსახსრობის გამო დარჩენილი ადამიანები, ეს იყო ადამიანები, რომლებსაც საკვების პრობლემები ჰქონდათ, ადამიანები, რომლებიც რეგიონებიდან იყვნენ ჩამოსული, აქ ჩარჩნენ და აქ ქირით ფულს ვერ იხდიდნენ, განსაკუთრებით ეს იყო სტუდენტების ჯგუფი.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„იყო რეგიონი, სადაც ქალებს არ ჰქონდათ საშუალება ეყიდათ ჰიგიენური საშუალებები, დაკეტილი იყო მაღაზიები, რა უნდა ექნათ.“

[ქალთა საინფორმაციო ცენტრი]

4.2. CSO სექტორის რეაგირება და პანდემიის საპასუხო აქტივობებში ჩართულობა

მთლიანობაში, CSO სექტორის მუშაობა პანდემიის პერიოდში პოზიტიურად შეფასდა. აღინიშნა, რომ მიუხედავად მოულოდნელობისა, ორგანიზაციებმა მოახერხეს დროულად მოერგოთ საკუთარი საქმიანობა ონლაინ სივრცისთვის, რამაც მათი მუშობა მეტ-ნაკლებად ჩვეულ რეჟიმში დატოვა.

კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ ორგანიზაციათა უმრავლესობა ჩართული იყო COVID-19 პანდემიის საპასუხო აქტივობებში. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებები, რამაც რესპონდენტთა თანახმად, ხელი შეუშალა CSO სექტორის მუშაობას:

- აღინიშნა, რომ პანდემიის პერიოდში ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო სრული ინფორმაცია საკუთარი ბენეფიციარების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ბავშვთა სახლებში, ხანდაზმულთა პანსიონატებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრებში ცხოვრობდნენ. ინფორმაციის არ ქონა მნიშვნელოვან ბარიერად შეფასდა ეფექტური ნაბიჯების დაგეგმვისთვის. რესპონდენტის თანახმად, სრულ ინფორმაციას ფლობდა მხოლოდ სახელმწიფო, რომელსაც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ აკისრია, შესაბამისად, ორგანიზაციამ, რომელმაც გამოითხოვა ეს ინფორმაცია სახელმწიფოსგან დახმარება ვერ მიიღო.

- ამასთან, დაფიქსირდა მოსაზრება, რომ პანდემიის პერიოდში ქალთა და გენდერული კუთხით შეინიშნებოდა პროექტეის ნაკლებობა. ექსპერტის მოსაზრებით, ამგვარ პროექტებს პანდემიის პერიოდში დონორი ორგანიზაციები ნაკლებად აფინანსებდნენ.

> *„თუმცა მინდა ავღნიშნო რომ ქალთა და გენდერული კუთხით იყო პროექტების ნაკლებობა მაინც იმიტომ რომ ამ პერიოდში ისედაც ნაკლებია ასეთი პროექტები და დაფინანსება რთულად მოსაძიებელია, მე ვთვლი რომ ეს დიდი არასამთავრობო ორგანიმაციები როგორ გითხრათ შეგვანაცვლეს რა ამ პროცესში.“*
>
> ***[ქალთა საინფორმაციო ცენტრი]***

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პანდემიის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები ძირითადად ეხებოდა ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიცაა ამ მიმართულებით საგანმანათლებლო კურსების / შეხვედრების ჩატარება და შესაბამისი აღჭურვილობის დარიგება თანამშრომლებისა თუ ბენეფიციარებისთვის.

- მხოლოდ ერთეულმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ პანდემიის საპასუხო აქტივობების განხორციელების ვალდებულების არ ქონის გამო, ამ კუთხით აქტივობები არ განუხორციელებია და არჩია, უფრო მეტად ორიენტირებულიყო ორგანიზაციის პირვანდელ ვალდებულებზე.

გამოკითხული რესპონდენტების თანახმად, სამედიცინო სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს ან მათ, რომლებიც სრულად გადავიდნენ დისტანციურ მუშაობაზე არ დასჭირდათ რაიმე სახის საგანმანათლებლო კურსების ჩატარება შესაბამის თემასთან დაკავშირებით. ხოლო ორგანიზაციები, ვინც აგრძელებდა ფიზიკურად ოფისიდან მუშაობას, ან დისტანციურ რეჟიმზე მხოლოდ ნაწილობრივ გადავიდნენ ჰიგიენის დაცვისა და უსაფრთხოების თემასთან დაკავშირებით საკუთარი თანამშრომლებისთვის შემდეგი ღონისძიებები გაატარეს:

- გამოაკრეს საინფორმაციო პოსტერები რეკომენდაციებთან დაკავშირებით;

- ერთეულ შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყოველ დილით კრებდა თანამშრომლებს და სიტყვიერად გადიოდნენ ჰიგიენისა თუ უსაფრთხოების თემებს.

„სამედიცინო სერვისი პროვაიდერებისთვის არ დამჭირვებია, უბრალოდ მე ჩემთან დამჭირდა, იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ექიმები არიან, მაინც, ცოტა მკაცრად ვუდგებოდი მე ამ საკითხს, ყოველი დილა იწყებოდა თათბირით, როგორც კი ისინი მოვაქციე იმ რეკომენდაციების ჩარჩოში, ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მეორე დღიდანვე უკვე ის თერმოსკრინინგისათვის თერმომეტრი ადგილზე მქონოდა და ის სადეზინფექციო საშუალებები ადგილზე მქონოდა და ა.შ.".

[თანაზიარი]

„თანამშრომლებთან მსგავსი ღონისძიების ჩატარება არანაირად არ გამხდარა საჭირო, იმიტომ რომ პირველი სართული მთლიანად სამედიცინო პერსონალია".

[ლეა]

„დავარიგეთ ბუკლეტები. თანამშრომლებისთვის ნაკლებად დაგვჭირდა,რადგან გავაკეთეთ სტენდი, სადაც ყველაფერი წერია. შემოსასვლელში არის სპეციალური ხალიჩა, ხსნარები, პირბადეები. მაგრამ ბენეფიციარებისთვის დაგვჭირდა მსგავსი სახის რეკომენდაციები. ჩვენ მაისში ჩავუტარეთ ბენეფიციარებს, ყოფილ პატიმრებსა და პრობაციონერებს მსგავსი რეკომენდაციები და შესაბამისი ბუკლეტები დავარიგეთ."

[თანხმობა]

„თანამშრომლებისთვის გამოაკრეს პოსტერები დაწვრილებით, ბენეფიციარებისთვის ფლაერები დაბეჭდეს სადაც გაწერილი იყო ეს ჰიგიენის წესები".

[ლეა]

„ჩვენ, გამომდინარე იქედან, რომ ყველაფერი გადატანილი გვაქვს დისტანციურად. COVID-უსაფრთხოებასთან ბენეფიციარებთან არ გვჭირდება კომუნიკაცია,რადგან დისტანციურ ხასიათს ატარებს. ამიტომ ჩვენი მხრიდან საჭიროებას ვერ ვხედავ მსგავსი ინფორმირების,რისკის არ არსებობიდან გამომდინარე. თუმცა გარკვეული რეკომენდაციები,რაც ზოგადად არსებობს,ამას ხშირად ვამიარებდით."

[საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი]

რაც შეეხება ბენეფიციარებისთვის გატარებულ ღონისძიებებს, აღინიშნა, რომ ორგანიზაციებს, რომლებიც მხოლოდ ონლაინ საკონსულტაციო მომსახურებას უწევენ ბენეფიციარებს, არ დასჭირვებიათ ჰიგიენის დაცვასთან ან უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებული აქტივობების ჩატარება იქიდან გამომდინარე, რომ არ დგება ბენეფიციარებთან ფიზიკური კონტაქტის საჭიროება.

ბენეფიციარებთან პირისპირი კონტაქტის მქონე ორგანიზაციებმა აღნიშნული თემის გარშემო შემდეგი ღონისძიებები გაატარეს:

- ბენეფიციარების ინფორმირება ძირითადად ბუკლეტების საშუალებით ხდებოდა. აღინიშნა, რომ ბუკლეტებში დეტალურად იყო გაწერილი ჰიგიენის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხები ბენეფიციარებისთვის გასაგებ ენაზე, რაც გულისხმობდა რეკომენდაციების გამარტივებული ტერმინოლოგიით გადმოცემასა და ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმნას.
- ერთეულ შემთხვევაში, ბენეფიციარებთან ჩატარდა ზუმის შეხვედრები ვირუსისგან თავის დაცვასთან დაკავშირებით. რესპონდენტის თქმით, ზუმის შეხვედრებში ჩართული იყო სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა.

„ჰიგიენასთან დაკავშირებით ზუმის შეხვედრები ჩავატარეთ ბენეფიციარებთან. ერთი შეხვედრა მაქვს კიდევ პარასკევს. სხვანაირად შეხვედრა არ შეიძლებოდა, ადგილზე ვერ მივიდოდით, იცით, რომ აკრძალული იყო. ამიტომ ზუმის საშუალებით, ასპინძის რაიონი, ადიგენი, ბორჯომი, რამდენ ადამიანთანაც მიგვიწვდებოდა ხმა და ჩაერთო ზუმში, დავაგზავნეთ ლინკები და ჩავერთვეთ და ავუხსენით რა და როგორ უნდა ექნათ".

[სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება]

„პრინციპში ისეთი ინფორმაციები რომლებიც ყველასთვის იყო ხელმისაწვდომი და რაც ტელევიზიითაც საკმაოდ ხშირად გადმოიცემოდა და ინტერნეტის მეშვეობითაც ხშირად ვრცელდებოდა და ჩვენ ჰუმანიტარული დახმარებები როცა გაიცა, ამობეჭდილი გვქონდა ეს რეკომენდაციები და პროდუქტთან ერთად ეს ინსტრუქციაც იდო და იღებდნენ ამ ინფორმაციას."

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

„რა თქმა უნდა ჩავატარეთ ჰიგიენის და უსაფრთხოების დაცვის თემაზე შეხვედრები, ამას მგონი ყოველ დღე ვატარებდით. გითხარით მე, რომ საკმაოდ დიდი დატვირთვა წამოვიდა ფსიქოლოგზე, ფსიქოლოგი თავის მხრივ, სოციალური მუშაკი თავის მხრივ და მორიგე ყოველ დღე ახსენდებდა გოგოებს რა და როგორ ექნა და ახლა ამ წუთას, როგორ გითხრათ უფრო ვღელავთ იმიტომ, რომ ეს ადამიანები გარეთ გადიან, ეს მათი უფლებაა და ვერ აუკრძალავ რომ არ გავიდნენ და ყველა წესებს ვიცავთ და საცხოვრებლის გოგოებიც გაგებით ეკიდებიან ამ თერმო ტესტირებას და მოკლედ ხელების ბანვას და კედლების წმენდას და ა. შ. რაც არის დამატებით ხარჯიც არის ფიზიკური, ეკონომიკურიც და დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული."

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

გარდა საგანმანათლებლო ტიპის კურსებისა, გამოკითხულ ორგანიზაციათა ნაწილმა საკუთარი ბენეფიციარები ჰიგიენისა და უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელი აღჭურვილობით უზრუნველყო. ამ მხრივ ორგანიზაციების ნაწილმა მოიპოვა სწრაფი დახმარების გრანტები, რომლის საშუალებითაც შეიძინეს ბენეფიციარებისა და თანამშრომლებისთვის სამყოფი სამედიცინო პირბადეები, ხელთათმანები, ანტიბაქტერიული ხსნარები. გარკვეულ ორგანიზაციებს კი ამ მიმართულებით ფულადი გრანტების მოპოვება არ დასჭირვებიათ, ვინაიდან მათმა პარტნიორმა / დონორმა ორგანიზაციებმა პანდემიის დასაწყისშივე პირდაპირ უზრუნველყვეს ისინი შესაბამისი აღჭურვილობით.

- ორგანიზაციამ „იმედი" თურქეთის საელჩოს დახმარებით, შეიძინა პირბადეების დამზადებისთვის საჭირო ნედლეული, დაიქირავა ადგილობრივი მკერავი ქალები და სიმბოლური ანაზღაურების ფასად შეკერეს პირბადეები, რომლებიც უსასყიდლოდ დაურიგდათ საკუთარ სამიზნე სეგმენტს. სხვა რესპონდენტისგან დაფიქსირდა, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციამ მათაც შესთავაზა პირბადეებით დახმარება მოწყვლადი ბენეფიციარებისთვის.

"გამოჩნდა ისეთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა სოციალური საწარმო და საკერავი მანქანები, მათ მოიძიეს ეს მასალა, ნედლეული და დაიწყეს უკვე პირბადეების შეკერვა და პირბადეების შეკერვით გარკვეული შემოსავალი გაიჩინეს. იყო ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც დაიწყეს პირბადეების შეკერვა და ეს უკვე დაურიგეს თავიანთი სამიზნე ჯგუფების ხალხს, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რომ სწრაფი რეაგირება მოეხდინათ და რაღაც ამდაგვარი ის მოხდა. მითხრა, რომ თუ მოწყვლადი ჯგუფი გყავს ვინც შემოდის შენთან და არ გააჩნიათ, მე მინდა მათ მე მივცე."

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

COVID-19 პანდემიის პერიოდში ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირდა ბენეფიციარების მთავარი საჭიროებები, რისი გათვალისწინებითაც დაიგეგმა ორგანიზაციების შემდეგი ნაბიჯები. ვინაიდან, საგანგებო მდგომარეობაში ბენეფიციარებისთვის ყველაზე აქტუალურ პრობლემას სამსახურის დაკარგვით გამოწვეული ფინანსური კრიზისი წარმოადგენდა, ორგანიზაციებმა, დონორებთან მოლაპარაკებების საშუალებით, მოახერხეს, საკუთარი ფინანსების ბენეფიციარებისთვის ჰუმანიტარული და იურიდიული დახმარების გასაწევად გადანაწილება.

„იმ მომენტში ვფიქრობდით,რომ პირველი საჭიროება არის ჰუმანიტარული. მიუხედავად იმისა,რომ სწრაფია ეს,მაინც ორი თვე დასჭირდა. ჩვენ ჩავთვალეთ,რომ უკვე იცვლება საჭიროება და პირველადი რაც ჩვენ ვიფიქრეთ,რადგან ჩვენ გვქონდა ხანდამუულებთან მუშაობის გამოცდილება და პროექტები,რომლებიც გვაქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან.“

[თანხმობა]

„წინასწაარ ჩვენ საჭიროებების კვლევა გავაკეთეთ, პანდემია ახალი დაწყებული რომ იყო, სანამ რესურსების მოძიება მოხდა ჩვენ რსურსების მოძიების პარალელურად დავიწყეთ ბენეფიციარების საჭიროებების კვლევა სადაც ჩვენ შევისწავლეთ, ვინც ქირით ცხოვრობს ვინ დაკარგა სამსახური, ვის აქვს სამედიცინო საჭიროებები, ვის აქვს საკვების საჭიროება და ა.შ და ეს დახმარებები რაც მოძიებული იქნა იყო მიზნობრივად დარიგებული.“

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

იურიდიული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებმა სამსახურის გარეშე დარჩენილი მოსახლეობისთვის შრომით საკითხებთან დაკავშირებული იურიდიული კონსულტაციები წამოიწყეს.

- ადაპტირებული ინფორმაციის გავრცელება - ორგანიზაციებმა სოციალური მედიის მეშვეობით მოსახლეობას მიაწოდეს გამარტივებული ინფორმაცია შრომის კანონების და საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ.
- უფასო იურიდიული კონსულტაციები - ამ მიმართულებით პრობლემას დაქირავებული თანამშრომლებისთვის წარმოადგენდა დამსაქმებლის არაკანონიერი ქმედება კომპენსაციის გადაუხდელობასთან დაკავშირებით, ხოლო თვითდასაქმებულთათვის, დასაქმებულობის სტატუსის დამტკიცება, რომლის საფუძველზეს მიიღებდნენ სახელმწიფო დახმარებას. ადამიანის უფლებებისა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა, საკუთარი დონორისგან ითხოვეს დახმარება, რათა შეექმნათ ცხელი ხაზი პანდემიის პერიოდში სამსახურის გარეშე დარჩენილი მოსახლეობისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ ინფორმაცია საკუთარ შრომით უფლებებთან დაკავშირებით.

„პირველი რაც ჩვენ დავიწყეთ ერთი როგორც შრომით უფლებებზე და სოციალურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ დავიწყეთ სახელმწიფო ნაბიჯების შესწავლა და ადამიანების ინფორმირება, რომლებმაც სამსახური დაკარგეს და მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია როგორ უნდა ემოქმედათ, როგორ ეპასუხათ თავის დამსაქმებლისთვის, რის უფლება ჰქონდათ და ა. შ. მეორე დავიწყეთ აქტიური კონსულტაციები, შესაბამისად დაგვჭირდა დონორებთან თანხების გადალაგება ამისთვის მოგვეთხოვა იმიტომ, რომ გავაკეტეთ ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს, რომელმაც დაკარგა სამსახური ან რაღაც პრობლემები შეექმნა შრომით დავებთან დაკავშირებით გვირეკავდა და ჩვენ ყველა ამ კუთხით ვცდილობდით დახმარება გაგვეწია, ეს არის საყოველთაო ყველა მოქალაქისთვის.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

ოჯახური ძალადობისასთან დაკავშირებით დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

- შსს-ს მიერ შექმნილი 112-ის აპლიკაცია ძალადობის მსხვერპლს საშუალებას აძლევდა ხმის ამოღების გარეშე განეცხადებინა ძალადობის ფაქტის შესახებ და გამოეძახებინა მაშველი ძალა. აპლიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების ნაწილში აქტიურად ჩაერთვნენ ორგანიზაციები, მათ შორის ქალთა საინფორმაციო ცენტრი. ბოლნისისა და მარნეულის რეგიონებში შეიკრიბა ახალგაზრდების მოხალისეთა ჯგუფი, რომლებიც კარდაკარ დადიოდნენ და აპლიკაციის გამოყენებას ასწავლიდნენ მოსახლეობას.

- ორგანიზაციის - პრტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვა ორგანიზაციებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე დამმზადდა რეკომენდაცია სახელმწიფოსთვის, რომელიც მოიაზრებდა კომენდანტის საათის დროს ძალადობის მსხვერპლის, მოძალადისგან გარიდების მიზნით, სახლიდან გასვლის შემთხვევაში მის ჯარიმისგან გათავისუფლებას.

„დაგვჭირდა ახალგამრდა მოხალისეთა ჯგუფი, ამ აპლიკაციებში ეხმარებოდა ხალხს. კარდაკარ დადიონდენ და ეხმარებოდნენ ამ აპლიკაციის ატვირთვაში,დაინსტალირებაში, უხსნიდნენ რაღაცეეებს. ძალიან დაგვეხმარნენ ამ ახალგამრდების ჯგუფი, უხსნიდნენ რაღაცეებს, განსაკუთრებით ოქრო ბიჭები იყვნენ და წარმოიდგინეთ ბოლნისში როცა ჩაკეტილი იყო ყველაფერი რეებს აკეთებდნენ და ცდილობდნენ გაეკეთებინათ ყველაფერი ხუთიანზე.“

[ქალთა საინფორმაციო ცენტრი]

სოფლის მოსახლეობასთან დაკავშირებით

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აზერბაიჯანელ ქალთა ასოციაცია, იმედი სოფლის მეურნეობის მიმართულებით წარმოქმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად დაიწყეს დონორებთან მოლაპარაკება, რომელთა დახმარებითაც, ბოლნისისა და მარნეულის ქალ მეურნეებს გადაეცათ/გადაეცემათ სასოფლო სამეურნეო მცირე ტექნიკა, ჩითილები და სასუქები.

- ამასთან, აღინიშნა, რომ პანდემიის პერიოდში განსაკუთრებულად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ხანდაზმულები, რომელთაც შეზღუდული ჰქონდათ გადაადგილების საშუალება. ამისთვის, ორგანიზაციამ თანხმობა, რეგიონებში გამოყო მოხალისეთა მობილური ჯგუფები, რომელთაც მედიკამენტები საკუთარი ხანდაზმული მოსახლეობისთვის ადგილზევე მიჰქონდათ.

- ერთ-ერთი ორგანიზაციის მხრიდან იყო გრანტის მოპოვების მცდელობა, რომლის საშუალებითაც სოფლის მოსახლეობას უზრუნველყოფდნენ ინტერნეტით, თუმცა მათი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

„ქალ მეწარმეებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღეთ სიტუაცია, რომ მათ სჭირდებოდათ დახმარება სასოფლო საკითხებში, ჩითილებში, ტექნიკაში და ეს ძალიან მკვეთრად გამოჩნდა. ამასთან დაკავშირებით დონორმა შემოგვთავაზა დამატებითი შეთავაზების შექმნა, ძალიან პრიმიტიული, სადაც მოხდებოდა ამ სეგმენტის იმ საჭიროებების დახმარება, რაც გამოავლინა კვლევამ.“

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„კონტრაქტით მოპოვებული თანხები ჩვენია,ამით ჩვენ ვიყიდეთ ჩითილები და გავაგზავნეთ ერთ-ერთ სოფელში,ბოლნისის დასაწყისში. მინდა ასევე გავაგრძელოთ და ახლა ალბათ სასუქია საჭირო. ჩვენი პრაქტიკა არის,რომ შეიქმნას ქალთა ჯგუფი და შემდგომ მათ გვითხრან რა არის მათი მთავარი საჭიროება.“

[თანხმობა]

„კი, მე მგონი სამართლიანი იყო იმიტომ რომ მე ვადევნებდი თვალყურს და დაფინანსდა ისეთი პროექტი იმ პერიოდში, ჩემი ითვალისწინებდა ფსიქოლოგიურს და პლიუს ამ ბავშვებისთვის ინტერნეტის ჩართვას და დაფინანსება ისეთი პროექტი, რომელიც სოფლებში გავიდა და COVID-19-ზე ინფორმაცია აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე გაავრცელა და რატომღაც ვიფიქრე რომ ის უფრო პრიორიტეტული იყო.“

[ბოლნისის ენის სახლი]

„გრძელდება მოლაპარაკებები სოფლის ინტერვენციაზე საოცრად კარგი რაღაც იქნება რამოდენიმე ადამიანისთვის და სასურველი იყო უფრო მეტი ადამიანისთვის, მაგრამ მადლობა რაც კეთდება იმისთვის.საელჩოს და ასევე თურქეთთან თანამშრომლობის და განვითარების სააგენტოს, რომლებიც აქტიურად გვეხმარებიან რაღაცეები გაიცემა.“

[იმედი]

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებმა საკუთარ თავზე აიღეს მოსახლეობისთვის ინფორმაციისა და საერთაშორისო რეკომენდაციების ადაპტირებული ფორმით მიწოდება.

- ამასთან, გამოვლინდა, რომ ჩაკეტილ რეგიონებში (ბოლნისი, მარნეული) ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობაში COVID-19 ვირუსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ისახავდა მიზნად.

„ჩვენი ორგანიზაცია ჩართული იყო ინფორმაციის გავრცელებაში. ჩვენი რეგიონები არის ქვემო ქართლში დმანისი, მარნეული, რომელიც ჩაკეტილი იყო ამ პერიოდში და ბოლნისიც მოყვა ამ ამბავში. აქ ერთ-ერთი მწვავე პრობლემა იყო ის, რომ დროულად არ იყო ინფორმაცია მიწოდებული. მართალია, იცოდა მოსახლეობამ რა სიტუაცია იყო მსოფლიოში მაგრამ სამწუხაროდ სოფლის მოსახლეობას ნაკლები ინფორმაცია ჰქონდა.“

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

4.3. COVID-19 პანდემიის გავლენა ორგანიზაციის სერვისებსა და აქტივობებზე

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ COVID-19 პანდემიის გავლენის მიუხედავად, ორგანიზაციებმა სწრაფად შეძლეს თავიანთი სერვისებისა და აქტივობების ადაპტირება არსებულ სიტუაციასთან თუმცა, საჭირო გახდა ზოგიერთი შეხვედრის / ღონისძიების გადადება პანდემიის დასასრულისთვის (მაგალითად ტრეინინგები, სათემო შეხვედრები, დიდი კონფერენციები, საზღვარგარეთ ვიზიტები).

პროექტები, რომლებიც პანდემიის პერიოდში მაინც ჩატარდა ძირითადად მათ ონლაინ სივრცეში გადატანას მოიაზრებდა. ამასთან, იმ პროექტების შემთხვევაში, რომელიც გულისხმობდა როგორც საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს, ასევე ტრენინგების პირისპირ ჩატარებას, აქტივობები გადანაცვლდა - დასაწყისში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ონლაინ პლატფორმის საშუალებით, ხოლო ტრენინგების ნაწილმა გადაიწია მომავალში, შეხვედრების აკრძალვის მოხსნამდე. ამას გარდა, დონორებთან მოლაპარაკებების შედეგად, შეიცვალა პროექტების დედლაინები, ვინაიდან პროექტების ონლაინ სივრცეში გადატანამ გამოიწვია დაგეგმილზე მეტი შეხვედრის ჩატარება.

- მხოლოდ ერთეული რესპონდენტისგან აღინიშნა, რომ საჭირო გახდა ზოგიერთი პროექტის / ღონისძიების გაურკვეველი დროით გადავადება, ვინაიდან მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდებოდა დისტანციური წესით ჩატარება. ასეთი პროექტები ძირითადად მოიაზრებდა საერთაშორისო გადაადგილებასა და მასშტაბურ ღონისძიებებს.
- გარკვეული პროექტის / ღონისძიების გაუქმების კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენდა COVID-19 პანდემიის დროს საკითხის აქტუალურობის გადაფარვა სხვა პრიორიტეტული თემებით.

„ეს პროექტი მოიაზრებდა, რომ ტრენინგის მერე დაგეგმილი იყო ვიზიტები. ესენი მთლიანად გაუქმდა. ვინც ტრენინგს გაივლიდა წარმატებით, ისინი 6 ვიზიტს მიიღებდნენ უფასოდ. არც სააგენტოსთან ჩატარდა შეხვედრა და არც ვიზიტები. მივიღეთ მიზნობრივი გადაწყვეტილება, რომ სექტემბერში გადაიწიოს ამ ყველაფერმა.“

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„ერთადერთი რაც გაუქმდა ეს არის ივენთები, რაც იყო დაგეგმილი პროექტულად, მაგრამ ჩანაცვლება მოვახერხეთ ონლაინ დისკუსიებით, რომელიც ძალიან კარგი აღმოჩნდა, პირიქით ძალიან საინტერესო და გაცილებით მეტი გაიდლაინის ინფორმაციები და პროდუქტები შევქმენით, რაც ადამიანებს აინტერესებთ, ამიტომ განსაკუთრებულ ჩავარდნას ვერ ვიტყვი, რომ მქონდა. ყველა ეს კონკრეტული აქტივობები, რაც მნიშვნელოვანი იყო მოხდა მოდიფიცირება და სხვა ფორმებით გაგრძელდა ამაზე მუშაობა, მათ შორის უშუალოდ უწყებებთან კომუნიკაციაც.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„კონფერენცია გვქონდა დაგეგმილი დიდი. კვლევას კი ვაკეთებთ,მაგრამ ეს სრულფასოვანი კვლევა არ არის,რადგან ეს იყო მშვიდობის მშენებლობაზე,13/25-ის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაზე,ჩვენ გვინდოდა დიდი სამოქალაქო ფორუმის ჩატარება,რომელიც ვერ ხორციელდება. ეს ფორუმი ონლაინ გაგვიჭირდება რომ ჩავატაროთ.“

[თანხმობა]

„ძირითადად შეგვეცვალა ის პროგრამები რომელიც ითვალისწინებდა პირისპირ შეხვედრებს, ზოგი ვერ განხორციელდა ვერც ონლაინ საშუალებით იმიტომ რომ იმ საკითხის პრიორიტეტიზაცია არ ხდებოდა იმ პერიოდში. ისედაც გასაგებია, მაგრამ ამან ჩვენზე გავლება მოახდინა და ესეთი ბევრი არ იყო, მაგრამ რაც გვქონდა, ყველა შეხვედრის გადატანა მოგვიწია ონლაინ სივრცეში.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

„დახურული შეხვედრები, კონფერენციები და რაღაც იყო დაგეგმილი რაც არ არის, თავყრილობები არ შეიძლება. ონლაინ დიდი კონფერენციების გამართვა შეუძლებელია. სხვა მხრივ ტრენინგები გრძელდება.“

[იმედი]

„იყო შიდა საორგანიზაციო ბევრი სტრატეგიული სამუშაო დაგეგმილი,რომელსაც ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ვახორციელებთ. გვქონდა დაგეგმილი ვიზიტები,როგორც ისინი უნდა ჩამოსულიყვნენ ჩვენთან, ისე ჩვენ უნდა წავსულიყავით მათთან. ეს პროცესი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რამდენად დაემთხვევა ფრენების აღდგენა ქვეყნებს შორის,რამდენად უსაფრთხო იქნება და ა.შ. ბევრი რამე არის უცნობი ჯერ-ჯერობით.“

[საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი]

4.3.1. დისტანციური სერვისები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ორგანიზაციებისთვის დისტანციურ სერვისებზე გადასვლა აუცილებლობას წარმოადგენდა, რაც გამოკითხულთა უმეტესობამ მარტივად და სწრაფად შეძლო. რესპონდენტების ძირითადი ნაწილის თქმით, დისტანციურ სერვისებზე გადასვლა ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის მხოლოდ პირველ ეტაპზე იყო რთული მიუჩვევლობიდან / სიახლიდან გამომდინარე, თუმცა არ დაფიქსირებულა ამ გარემოების გამო მუშაობის შეფერხების შემთხვევა. მხოლოდ ერთეულმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დისტანციურ მუშაობაზე გადასასვლელად ორგანიზაციას ტექნიკური საშუალებები ხელს არ უწყობს, რამაც ორგანიზაციის საქმიანობის დროებით შეწყვეტა გამოიწვია.

„არა, წინასწარი მზაობა ასეთი სიტუაციისთვის არ იყო რა თქმა უნდა და ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში მოხდა ჩვენი მუშაობის გადატანა ესევთქვათ ონლაინ რეჟიმზე, იგივე სერვისები რასაც ჩვენ ვაწვდიდით პირისპირ ბენეფიციალებს, ორგანიზაციაში ყველა სერვისი არის შენარჩუნებული, ყველა სპეციალისტის სერვისი, უბრალოდ არის ონლაინ და სატელეფონო რეჟიმზე გადასული.“

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

- დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის შედეგად, გაუმჯობესდა და ინფორმაციული კონტენტით დაიტვირთა ორგანიზაციების ვებ და ფეისბუქ გვერდები. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციები ბენეფიციარებს კონტაქტის მრავალფეროვან გზებს (FB-გვერდი, ვებ-გვერდი, მეილი, სკაიპი) სთავაზობდნენ, ზოგიერთ მათგანს მაინც მოუწია საკუთარი ცხელი ხაზის შექმნა, რათა ბენეფიციარებისთვის კიდევ უფრო გაემარტივებინათ დაკავშირება.
- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენლის მხრიდან აღინიშნა, რომ ძველ / რეგიონებში მცხოვრებ ბენეფიციარებთნ კომუნიკაციის შენარჩუნება ხდებოდა ტელეფონის, ონლაინ საშუალებების დახმარებით. ამ გზით ორგანიზაცია მუდმივად განახლებად ინფორმაციას იღებს ბენეფიციარების საჭიროებებთან დაკავშირბეით.

- ამასთან, პროექტების მიმდინარეობის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციებმა დაიწყეს იმ ონლაინ პლატფორმების შესწავლა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ბენეფიციარებისთვის და ამასთანავე, საშუალებას მისცემდა ორგანიზაციას განეხორციელებინა დაგეგმილი აქტივობები. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ორგანიზაციების უმრავლესობა ბენეფიციარებთან დაგეგმილ აქტივობებსა და საადვოკაციო შეხვედრებს ზუმის პლატფორმის საშუალებით ახორციელებდა. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიმართავდნენ მესენჯერის ან სკაიპის აპლიკაციებს.

„ქალბატონი, რომელიც „ლიდერთა აკადემიის“ მიმართულებას ხელმძღვანელობს ჩაატარა ერთი ვებინარი იმასთან დაკავშირებით,თუ როგორ უნდა იხელმძღვანელოს ამ სისტემით. როგორ უნდა ჩაერთოს საუბარში,მიკროფონთან დაკავშირებული პრობლემები. მიკროფონი რომ უნდა გათიშოს სხვისი საუბრის დროს.“

[თანხმობა]

- აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ საინფორმაციო სამედიცინო - ფსიქოლოგიური ცენტრმა, თანადგომა - ბენეფიციარებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენა ონლაინ საკომუნიკაციო / გაცნობის აპლიკაციები. ამ გზით მათ გააფართოვეს სამიზნე სეგმენტი, პირადი კომუნიკაციის საშუალებით გაიგეს თითოეულის საჭიროება და მათთვის ხელსაყრელ ადგილზე მიაწოდეს თავდაცვის საშუალებები (პრეზერვატივები, კონტრაცეფტები).

„სერვისების ნაწილი ონლაინ აუთრიჩზე გადავიდა. დიდი ნაწილი გადავიდა ონლაინ, იმიტომ, რომ ვეღარ ვაკეთებდით აუთრიჩს ფიზიკურად. ახლაც ასე მიმდინარეობს დიდწილად, თუმცა, უკვე ქუჩებშიც ნელ-ნელა გაცოცხლდა შეკრების ადგილები. თუმცა, ჯერ კლუბი, კაფე ისევ არაა და კლუბამდე მგონი კაი ხანი მოგვიწევს მოცდა.“

[თანადგომა]

„ჩვენ ვცდილობდით, ინფორმაცია გაგვევრცელებინა სოციალური ქსელის საშუალებით, თუმცა ეს ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი. ცხელი ხაზი აგრძელებს მუშაობას და ასევე მითითებული იყო მეილიც და ფეისბუქ გვერდიც. ალბათ ეს არაა საკმარისი და ყველა ვერ ისარგებლებს, თუმცა ეს მაინც მაქსიმუმია, რაც ორგანიზაციას შეეძლო გაეკეთებინა.“

[საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია]

„რომელი კომუნიკაციის საშუალება იქნებოდა შედარებით უფრო მისაღები ბენეფიციარებისთვის და ისიც გავითვალისწინეთ რომ შესაძლოა ზოგიერთ ბენეფიციარს არ ქონდეს პირადი სივრცე, რომ პირისპირ კონსულტაცია გაიაროს ფსიქოლოგთან ან სხვა სპეციალისტთან, იმიტომ რომ ვინც ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობს ხელის შემშლელი ფაქტორია ერთ ერთი, ასევე შეიძლება ხელისშემშლელი ფაქტორი ყოფილიყო ის რომ წვდომ აარ ქონოდათ ინტერნეტთან ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებთან.“

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

ბენეფიციარების მხრიდან, დისტანციურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, მნიშვნელოვნად ფერხდებოდა სხვადასხვა მიზეზების გამო:

- პირველ რიგში, დისტანციურ აქტივობებში ჩართვას ვერ ახერხებდნენ ის ადამიანები, რომელთაც არ აქვთ კომპიუტერი და/ან ინტერნეტი. რესპონდენტთა თანახმად, ასეთ სეგმეტს, ძირითადად, წარმოადგენს სოციალურად შეჭირვებული ფენა, რეგიონის მოსახლეობა.

„სერვისებზე ხელმისაწვდომობა დისტანციურობის გამო ალბათ უფრო ბავშვებს, ჩვენ არ გვქონდა გამიზნული ბავშვებთან უშუალო კომუნიკაცია, მაგრამ მოგადად რომ ვთქვათ ონლაინ სერვისებზე გადასვლამ კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოაჩინა ღარიბი ოჯახები, სადაც არც კომპიუტერია და არც ინტერნეტია და არც დენია ხშირ შემთხვევაში, მაგალითად ონლაინ სწავლება ხომ, ეს ონლაინ სწავლება დიდი რაოდენობა ბავშვებისთვის აღმოჩნდა ხელმიუწვდომელი და სხვა ალტერნატივა სახელმწიფოს ამ ბავშვებისთვის არ გააჩნდა სწავლების. ამ თვალსაზრისით იქნებოდნენ ადამიანები, სრულწლოვანი ადამიანები რომლებსაც იგივე გამოწვევა აქვთ არ აქვთ კომპიუტერი და ასე შემდეგ.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

„ყველას არ აქვს რა თქმა უნდა ხარისხიანი ტელეფონი, ყველას არ აქვს ინტერნეტი.“

[იმედი]

- პრობლემას წარმოადგენდა ტექნოლოგიური განათლების დაბალი დონე ასაკით უფროს სეგმენტში. ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, მნიშვნელოვან პრობლემას ქმნიდა ხელსაწყოების გამართვის, აპლიკაციის მოხმარებაში გარკვევის პროცესი. ამასთან, აღინიშნა, რომ მსგავსი პრობლემები არ იქმნებოდა ახალგაზრდა ბენეფიციარებთან კონტაქტისას.
  - ✓ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, ერთეულმა ორგანიზაციებმა, პრეშეხვედრები ჩაატარეს ბენეფიციარებთან, სადაც მათ მოწყობილობებისა და აპლიკაციების გამოყენების წესი დეტალურად აუხსნეს.

აქტივობებისა და სერვისების ონლაინ სივრცეში გადალაგების ეფექტურობა ერთნაირად შეფასდა გამოკითხული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან. რესპონდენტების მხრიდან, დისტანციური სერვისები შეფასდა, როგორც უფრო მოქნილი საშუალება ინფორმაციის გავრცელებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების კუთხით. დისტანციური მუშაობა ფართო აუდიტორიის დაფარვის საშუალებას იძლევა გაცილებით მოკლე დროში, ვიდრე ეს სჭირდება პირისპირ შეხვედრებს.

- ამასთან, აღინიშნა, რომ დისტანციური სტილით კომუნიკაცია და სერვისების მიწოდება იმ ბენეფიციარებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოჩნდა, რომელთაც ჰყავდათ შშმ ან მცირეწლოვანი შვილები, ჩართული იყვნენ საოჯახო საქმეებში.

„იდეა ის არის რომ არ ვგიჟდები ამონლაინ შეხვედრებზე და არ ვთვლი რომ ეს რამის ალტერნატივაა, ვცდილობ არ დაგვჭირდეს და პირისპირ შეხვდეს ადამიანები ერთმანეთ გაცილებით ეფექტურია ამ დროს, თუმცა აღმოვაჩინეთ ერთი რომ თუკი ადამიანები ადრე არ მოდიოდნენ ჩვენთან იმიტომ რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მოსვლა არ შეეძლოთ,მივხვდით რომ ამ ადამიანების ჩართვა ამ გზით შეიძლება მაშინაც კი როცა შენ სხვებს პირისპირ ხვდები.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

თუმცა, კვლევის მონაწილეების თანახმად, აქტივობებისა და სერვისების დისტანციურად წარმართვა მნიშვნელოვნად ამცირებს შეხვედრის ეფექტურობას - რთულია რაპორტის დამყარება, ონლაინ სივრცეში ბენეფიციარების ჩართულობის უზრუნველყოფა, ეკრანთან გაჩერება და ა.შ.

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს დრო. აღინიშნა, რომ ონლაინ რეჟიმში ჩატარებული პროექტები, როგორიცაა, ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები დროში იწელება. რესპონდენტების თანახმად, ბენეფიციარების ეკრანთან 4 საათზე მეტ ხანს გაჩერება კიდევ უფრო დაბლა სწევს პროდუქტიულობას, შესაბამისად, თუ პირისპირ შეხვედრისას ტრენინგის ერთი დღის ხანგრძლივობა უნდა ყოფილიყო 8 საათი, ონლიან რეჟიმში გადასვლისას ეს შეხვედრა განაწილდება ორ დღეზე.

„რამდენიმე შეხვედრა ჩავატარეთ ზუმით და ეს იყო კოშმარი. ახალგაზრდებთან კიდე კარგია, მათაც მოსწონთ მარტივია უფრო. ახალგაზრდებთან ამაზე არანაირი პრობლემა არ ყოფილა. (ზრდასრულებთან, მეწარმეებთან) 8 შეხვედრა უნდა ჩაგვეტარებინა და ორი შეხვედრაძლივს ჩავატარეთ. დაკავშირება ტელეფონით ან შეხვედრით უნდა მომხდარიყო, შეხვედრა არ შეიძლებოდა ამიტომ ტელეფონით გვიწევდა. ან თუ ვხვდებოდით ნაკლები ადამიანით შემდგარ ჯგუფს და ერთი შეხვედრა ტარდებოდა ორ შეხვედრად, სხვადასხვა ჯგუფებთან.“

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„ვერ ვიტყვი რომ ონლაინ შეხვედრები რაღაცით გვაფერხებდა უბრალოდ, თავდაპირველად საკმაოდ რთული იყო ამ პროცესზე გადასვლა იმიტომ რომ როდესაც მიჩვეული ხარ რაღაც პირისპირ კომუნიკაციას, ესეთი ხშირი ონლაინ შეხვედრების გამოცდილება მე პირადად არ მქონდა თავიდან საკმაოდ რთული იყო და მერე ჩვეული მუშაობის ფორმად იქცა.“

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

„იდეაში რომ ავიღოთ საშუალო სტატისტიკა ფეისბუქზე ამ ლაივების საშუალოდ არის 100 ადამიანი, რომელიც უყურებს კონკრეტულ ერთ დისკუსიას. რაც შეეხება ბენეფიციარების ერთ ნაწილს ჩვენ გვქონდა აქტიური კომუნიკაცია, ჩვენ ყოველთვის ჩავდიოდით ხოლმე რეგიონებში, პირდაპირ ვგეგმავდით და ერთობლივი ჩართულობით და მონაწილეობით ვგეგმავდით სხვა ამბებს, შესაბამისად რადგან ეს ფიზიკურად ვერ ხერხდება თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ ურთიერთობა ამ ჯგუფებთან მუდმივად არიან სატელეფონო კომუნიკაციაზე ანუ ონლაინ კომუნიკაციის იმ ფორმებს იყენებენ, რაც აქამდეც ჰქონდათ და ეს კონტაქტები და ინფორმაციის მიღება არ წყდება ანუ ასე ვთქვათ ამ ადამიანების საკითხები იქნება თუ პრობლემები ამის მიღება, კომუნიკაცია და მსჯელობა აი ეს ეტაპი არ შეწყვეტილა ანუ შეიძლება პირიქით უფრო გაძლიერდა ერთი არის ცხელი ხაზის და მეორე უშუალო კონტაქტების გმით.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

4.3.2. სამედიცინო სერვისები

სამედიცინო ტიპის სერვისები სწორედ იმ სერვისთაგანია, რომელიც უწყვეტად, თუმცა მცირე ცვლილებებით, მიეწოდებოდათ ბენეფიციარებს. რესპონდენტების თანახმად, COVID-19 პანდემიის გავლენით დახურულ ინსტიტუციებს შორის არ მოხვედრილა სამედიცინო პუნქტები. ამის საპირისპიროდ, აღინიშნა, რომ სწორედ ჯანდაცვის სამინისტროსგან ჰქონდათ მითითება ორგანიზაციებს, არ შეეჩერებინათ სამედიცინო სერვისების მიწოდება. ამის მიუხედავად, მაინც გამოვლინდა გარკვეული ცვლილებები სერვისის მიწოდების ნაწილში პანდემიამდე და მის ყველაზე კრიტიკულ პერიოდში.

- სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოების წარმომადგენლის თანახმად, შეიზღუდა მომსახურების საათები. გამოვლინდა, რომ თუ პანდემიამდე პერიოდში ბენეფიციარების

მიღება ხდებოდა ყოველდღიურ რჟიმში, საგანგებო მდგომარეოისას ადგილზე მომსახურება შესაძლებელი იყო მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. გარდა ამისა, შეიზღუდა მიღების საათებიც. აღნიშნული ცვლილებები ამარტივებდა პაციენტების მომართვიანობის, ლოდინისას შექმნილი რიგისა და ბენეფიციარების ჰიგიენური საშუალებებით (სამედიცინო პირბადე, ხელთათმანები) აღჭურვილობის კონტროლს.

- სამედიცინო კონსულტაციების მიღება შესაძლებელი გახდა ონლაინ სივრცეში. აღინიშნა, რომ პაციენტებს სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა უწევდათ მხოლოდ გადაუდებელ, სასწრაფო სიტუაციაში. სხვა შემთხვევაში, ბენეფიციარებს ჰქონდათ შესაძლებლობა ექიმთან/ფსიქოლოგთან/თერაპევტთან კონსულტაცია გაევლოთ ონლაინ რეჟიმში.

- პანდემიის გავლენით გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობამდე გარკვეული ორგანიზაციების ინიციატივით რეგიონების მოსახლეობასთან და დევნილთა დასახლებებში დადიოდნენ სამედიცინო მობილური ჯგუფები, რომელბიც მოსახლეობას უტარებდნენ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებულ კონსულტაციებსა და არაგეგმიურ შემოწმებებს, მათ შორის ონკოლოგიური და გინეკოლოგიური შემოწმებები ქალებისთვის. რესპონდენტების თანახმად, მსგავსი ტიპის აქტივობები ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზეზით დროებით შეჩერდა.

  - ✓ ერთი მხრივ, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ხედავდა საფრთხეს, რომ რეგიონის მოსახლეობას მობილური ჯგუფების მიღების სურვილი არ ექნებოდათ ვირუსით გამოწვეული შიშის/შფოთვის გამო. თუმცა, მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული სურვილის საფუძველზე, ორგანიაცია მობილური ჯგუფების ვიზიტების აღდგენას ახლო მომავალში განიხილავს.

  - ✓ მეორე მხრივ, დევნილთა დასახლებებში პანდემიის პერიოდში გაცილებით პრიორიტეტული გახდა, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

სამედიცინო სერვისებისაგან განსხვავებით, დროებით გაუქმდა სამედიცინო თემებზე საგანმანათლებლო შეხვედრები. შეხვედრების გაუქმების ძირითადი მიზეზი კორონავირუსის გავრცელების პრევენცია იყო, თუმცა, აღნიშნული შეხვედრების აღდგენა დაგეგმილია კრიტიკული პერიოდის გადავლის შემდეგ გეგმავენ.

„სამედიცინო ცენტრი აგრძელებდა მუშაობას, იმიტომ რომ ეს იყო ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნა, ჩვენ რახან გვაქვს პროგრამები, სახელმწიფო პროგრამები გვაქვს ჯანდაცვის სამინისტროსი, ეს არის დედათა და ბავშვთა პროგრამა, სადაც ორსულთა პატრონაჟი, ჩვენ გვაქვს ონკოლოგთა პატრონაჟის პროგრამა სადაც ონკოლოგიურ პაციენტებს ვემსახურებით და გვაქვს გადაუდებელი მომსახურების პროგრამა, ეს არის ჯანდაცვის სამინისტრო მიერ დაფინანსებული, ჩვენს ორგანიზაცის მინდა არ მინდამე არ იყო საუბარი და ჩვენი ორგანიზაცია გადაერთო, გადაეწყო ახალ მოცემულობამე და ჩვენი ორგანიზაცია ჩვეულებრივად აგრძელებდა იმ დღეებშიც კი როდესაც ყველანაირი შეზღუდვა იყო ქვეყანაში, სამედიცინო ცენტრი აგრძელებდა ფუნქციონირებას.“

[თანაზიარი]

„სამედიცინო სერვისების მიმწოდებელი არ ვართ მაგრამ მეგობარ ორგანიზაციასთან ერთად ვეგმავდით, აპრილის ბოლოდა მარტში დაგვეწყო ინფორმაციის გავრცელება რეპროდუქციულ ჯანმრთელობაშთან დაკავშირებით. ჩაგვეტარებინა შეხვედრები მოსახლეობასთან. ამ ეტაპზე გაჩერებულია, თუმცა განახლებას ვაპირებთ.“

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„არც ერთი სამედიცინო სერვისის მიწოდება არ შეწყვეტილა. ის გავლენა ჰქონდა, რომ ყოველდღიურად არ იყო, სულ არ იყო ჯარი ღია. იმ ინტენსივობით ვეღარ მოდიოდნენ პაციენტები. მოდიოდნენ მხოლოდ გადაუდებელი შემთხვევებისას. ჩვენ ძალიან ბევრი პაციენტი გვყავს. ისინი მკურნალობენ საშვილოსნოს ყელზე და არიან ადამიანები, რომლებიც მკურნალობენ და დავუშვათ აქვს 10-დღიანი, ერთკვირიანი კურსები, რის მერეც ექიმს უნდა შეხვდეს, გაესაუბროს, რომ შეუცვალოს წამლები და ა.შ. აქაც მცირედი შეფერხება იყო.“

[სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება]

„ამჟამად როგორც გითხარით,მობილური ჯგუფი ჯერ არ დადიოდა,თუმცა ახლა რამდენიმე მოთხოვნა შემოვიდა რეგიონებიდან. ჩვენ, სიმართლე გითხრათ, გვეშინოდა, რადგან იქ სადაც დავდივართ არ არის საერთო ადგილი, სადაც ექიმს შეუძლია მიიღოს პაციენტი, ჩვენ უნდა დავრჩეთ რომელიმე ბინაში. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ოჯახისთვის ეს უსაფრთხო არ არის. აღმოჩნდა, რომ ოჯახები ამას ელოდებიან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პროცესი განვაახლოთ. თუ გორი ახლიდან არ ჩაიკეტა. ამ პირობებში მხოლოდ მედიკამენტების დარიგებას ვახერხებდით, არსებული სიების მიხედვით.“

[თანხმობა]

„ჩვენ შეხვედრებს ვაკეთებთ ექიმი კონსულტანტი ატარებს ნაადრევ ქორწინებაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე ოჯახის დაგეგმარება და ა. შ. თუმცა ახლა ისევ მოხდა რაღაცნაირი ლავირება, პანდემიის თემა იყო მნიშვნელოვანი, პრევენციის თემა, თავდაცვა კორონა ვირუსისგან და ა. შ. ამ თემებმა წამოიწია, თუმცა ქალებსაც აქვთ თავისი საჭიროებები პანდემიის პერიოდში და სასურველია უფრო აქტიური ჩარევა ქალებისა და ახალგაზრდა გოგონების სხვა და სხვა სპეციფიკური საჭიროებების დაფარვისათვის.“

[იმედი]

მედიკამენტებისა და სხვა საშუალებების მიწოდება

გამოკითხულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თანახმად, ბენეფიციარების მხრიდან შეიმჩნევა მედიკამენტებზე მოთხოვნის გაზრდის ტენდენცია. ამის მიზეზად, რესპონდენტები უპირველესად, მედიკამენტებზე ფასის მომატებასა და გარკვეულ დაავადებათა გამწვავებას მიიჩნევენ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ COVID-19 პანდემიის პერიოდში გამწვავდა გარკვეული დაავადებები და მოიმატა კონკრეტულმა ჩივილებმა ბენეფიციარების მხრიდან. რესპონდენტების თანახმად, იმატა ჰიპერტენზიულმა შეტევებმა და გამწვავდა სისხლძარღვოვანი დაავადებები, შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა წნევის დამწევებსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობასთან დაკავშირებულ მედიკამენტებზე. გამოკითხულთა თანახმად, მსგავსი ტიპის ჩივილები დაკავშირებული იყო სტრესის მომატებულ მაჩვენებელთან, რაც თავის მხრივ იწვევდა უძილობასა და შფოთვიანობას. რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარი“-ს თანახმად, მათ მედიკამენტების დარიგების ერთ-ერთ პროექტში ჩართული 30 ბენეფიციარიდან 27 სწორედ, უძილობას უჩიოდა.

მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა თანახმად, პანდემიის ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი მედიკამენტებსა თუ სხვა საშუალებებზე (კონტრაცეპტივები, კონდომები, ჰიგიენური საფენები) არც აფთიაქებში და არც ორგანიზაციის მედიკამენტების პირად მარაგში დეფიციტი არ შექმნილა.ერთეულ შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ ამ პერიოდში მხოლოდ დისტანციურ სიცხის საზომზე შეიქმნა მარაგის პრობლემა, რაც რესპონდენტის თქმით, მალევე აღმოიფხვრა. ამის საპირისპიროდ, გამოვლინდა, რომ კრიტიკულად შეფერხდა მედიკამენტების დისპანსერებიდან გაცემის პროცესი.

- კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დისპანსერებში განაწილებულ, სოციალურად დაუცველებსა და ხანდაზმულებზე ორიენტირებულ მობილურ ჯგუფებს ხარვეზები წარმოექმნათ მედიკამენტების განაწილებასთან დაკავშირებით. რესპონდენტის თანახმად, ვერ მოხერხდა დაწესებულებასთან მომლოდინეთა რიგის მოწესრიგება დისტანციების დაცვით, რაც ვირუსის გავრცელების საფრთხეს ქმნიდა. ამის გამოსასწორებლად, მობილურმა ჯგუფმა ბენეფიციარებზე გასცა ორი თვის სამყოფი მედიკამენტები, რასაც სხვა პრობლემა მოჰყვა. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, შფოთვის ფონზე, ბენეფიციარებმა წამლის გაორმაგებული დოზა მიიღეს, რამაც გამოიწვია წამლის მარაგის დროზე ადრე დამთავრება და ბენეფიციარების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუარესება.

- გარდა ამისა, გამოიკვეთა აფთიაქების მუშაობასათან დაკავშირებული შეფერხების მაგალითებიც. რესპონდენტის თანახმად, კონკრეტულ აფთიაქში (მხოლოდ ამ აფთიაქში იყო კონკრეტული მედიკამენტის შეძენა შესაძლებელი) კილინიკიდან გაგზავნილ ბენეფიციარს აფთიაქი დაკეტილი დახვდა საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული აკრძალვების გამო (ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვა).

„მომატებულია სისხლძარღვოვანი დაავადებები, ჰიპერტენზიული შეტევები, ის რომ წნევები მაღალი აქვთ, ის რომ გულის პრობლემები აქვთ და დამამშვიდებელი საშუალებები სჭირდებათ, იმიტომ, რომ ჩვენი ბენეფიციარები, ვინც დავაფინანსეთ და ვისაც მივაწოდეთ, გვეუბნებოდნენ, რომ ღამე არ გვძინავს, უძილობა მაწუხებს და კარგი იქნება თუ დამამშვიდებელ საშუალებას მომცემთ. რა თქმა უნდა ეს არ იყო რაღაც ისეთი, მაგრამ სამედიცინო დაწესებულებაში ნევროპათოლოგთანაც რომ გამოდიან, ახლა ბოლო პერიოდში ვაფიქსირებ ასეთ რაღაცას, რომ ყველას უნდა დამამშვიდებელი საშუალება ასაკის მიუხედავად, ის შეიძლება იყოს ძალიან ახალგაზრდა, შეიძლება იყოს ხანდაზმული ადამიანი, უმეტესი მათგანი, ვინც ახლა ნევროპათოლოგთან მოდის, ყველას აქვს ერთი და იგივე ჩივილები, ეს არის უძილობა, ეს არის შფოთი, რაღაც დეპრესიულ განწყობაზე არიან და რაღაც ასეთ განწყობაზე ამისთვის სჭირდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა და კვლევები, მომართვიანობა ჩვენს მიმართაც გაიზარდა, როცა ჩვენ ბენეფიციარებს ვაფინანსებთ, ყველამ ითხოვა, 30 ადამიანი დავაფინანსეთ, 26 თუ 27 ადამიანი იყო, რომელსაც ეს უძილობა აწუხებდა და ითხოვდა, ესეც არის, რომ იმ პერიოდში, კორონა ვირუსის დროს ძალიან იმატებს ეს შფოთვა, რა მელოდება, რამე რომ დამჭირდეს ექიმთან წასვლას შევძლებ, რა იქნება ხვალ, პროდუქტები რომ შევიძინო შევძლებ, აი, ეს რომ გაძვირდება რა მეშველება, არის ეს შინაგანი შფოთი, აქვს ადამიანებს.“

[თანაზიარი]

„მედიკამენტებთან დაკავშირებით, არის ასეთი მობილური ჯგუფები, რომელბიც აწვდიან მედიკამენტებს სოცდაუცველებს და ხანდაზმულებს მათი მუშაობა იყო შეფერხება, არ ჰქონდათ დამცავი საშუალებები და ვერ მუშობდნენ. დისპანსერებშიც, სადაც ხდება წამლების დარიგება ვერ მოაგვარეს პრობლემა უსაფრთხოების თვალსაზრისით, იყო რიგების პრობლემები თავიდანაც და მერეც. თავიდან ამ დისპანსერებს უსაფრთხოების საშუალებები ვერ მიაწოდეს. მერეც იყო რიგების პრობლემები, სადღაც აპრილში ისე, რომ ეს დისტანცია არ იყო დაცული. მერე იფიქრეს და გააკეთეს ისე, რომ მისცეს ორი თვის მარაგი. მაგრამ აქ უკვე სხვა პრობლემა გაჩნდა. ბენეფიციარებმა დალიეს ერთ თვეში ეს წამლები და მერე აღმოჩნდნენ წამლების გარეშე, ითხოვს წამლებს, ეუბნებიან ხომ აიღე წამლები მეტი რა გინდა. შფოთვის ფონზე უფრო მოსალოდნელია, რომ მეტს დალევს ადამიანი, სტრესის ფონზე დალია უფრო მეტი და შედეგი არის ის რომ მდგომარეობა გამწვავდება.“

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„ასევე იყო პრობლემა, გლდანის ტერიტორიაზე დაიხურა აფთიაქი. ანუ დისპანსერმა გადაამისამართა აფთიაქში, ეს აფთიაქი აღმოჩნდა დახურული. აფთიაქმა თქვა, რომ თანამშრომლები ვერ ახერხებენ სიარულს იმიტომ რომ ტრანსპორტი არაა, მანქანა არ ჰყავთ. არადა მხოლოდ ამ აფთიაქში იყო შესაძლებელი ამ გამოწერილი მედიკამენტების შეძენა. ამ პირს მოუწია დაბრუნება, ხელმეორედ დალოდება დისპანსერში მერე ისევ დაბრუნება.“

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„დეფიციტები არ შეგვქმნია, იმიტომ, რომ როდესაც პროგრამა არის, დავუშვათ, გვაქვს ერთწლიანი ხელშეკრულება, შესყიდვა ხორციელდება წინსწრებით. ამიტომ დანაკლისი არც კონდომების, არც ლუბრიკანტების არც ტესტების არ გვაქვს.“

[თანადგომა]

„გულ-სისხლძარღვთან დაკავშირებული მედიკამენტების მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა და ზოგადადაც გაიზარდა მოთხოვნა წამლებზე გაზრდილი ფასებიდან გამომდინარე. ერთლარიანი პროგრამა რეგიონებში პრაქტიკულად არ მუშაობდა. ეს არ არის სახელმწიფო პროგრამა ეს არის პროგრამა აფთიაქის ხარჯზე,მის კეთილ ნებაზე.“

[თანხმობა]

„ახლა მაგალითად,გაგვიჭირდა,რომ აფთიაქში გვეყიდა დისტანციური თერმომეტრი. იყო გარკვეული დეფიციტურობა,თუმცა ძირითადი ნაწილი მედიკამენტების ხელმისაწვდომი იყო. ჩვენი მოკავშირეები გვიგზავნიან სიას სოფლებიდან და „ფარმადეპოსთან“ ვთანამშრომლობთ ამ მიზნით.“

[თანხმობა]

4.3.3. საგანმანათლებლო სერვისები

რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ COVID-19 პანდემიის შედეგად გამოწვეულ მდგომარეობაში ყველაზე მარტივი აღმოჩნდა საგანმანათლებლო ტიპის სერვისების ადაპტირება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთეულმა ორგანიზაციებმა საგანგებოდ დისტანციური მუშაობისთვის ხელმეორედ გადაამზადეს გამოცდილი ტრენერები, რათა განსხვავებულ გარემოებას მათთვის ხელი არ შეეშლათ. აქედან გამომდინარე, რესპონდენტების უმრავლესობის თანახმად, საჭირო არ გამხდარა რომელიმე საგანმანათლებლო სერვისის შეჩერება.

- ამის მიუხედავად, ერთეული რესპონდენტის შეფასებით, ის საგანმანათლებლო სერვისები, რომლებიც მოიაზრებდა ბენეფიციარების უშუალო ჩართულობას (ტრენინგები, სალექციო კურსები) და პანდემიის პერიოდში გადავიდა ონლაინ სივრცეში, არ იყო რეალური შედეგის მომტანი ბენეფიციარებისთვის და ჰქონდა მხოლოდ სიმბოლური ხასიათი.

„ჯერ შევთანხმდეთ ხარისხზე. წარმოუდგენელია ტრენინგის ჩატარება ოთხ საათში, ამას ტრენინგი აღარ ქვია. ეს უნდა იყოს ლექცია-სემინარი. დარჩა მისი სახელი ტრენინგი და სინამდვილეში და თქვენ იქითა მხარეს ფაქტიურად არ გყავთ მსმენელი. მე რამდენიმეს დავესწარი, არ წამიყვანია, თუმცა დავესწარი. ეს არის აბსოლუტურად იმისთვის, რომ დონორს აჩვენო, რომ შენ არ გაჩერდი.“

[დამოუკიდებელი ექსპერტი]

რესპონდენტების თანახმად, საგანმანათლებლო კურსების / ტრენინგების / საინფორმაციო შეხვედრების ონლაინ სივრცეში გადატანა გარკვეული სეგმენტისთვის განსაკუთრებით მისაღები იყო. ასეთ სეგმენტს მიეკუთვნებიან შშმ პირებისა და მცირეწლოვანი ბავშვების მშობლები, რომელთაც ტრენინგებზე დასასწრებად მუდამ უწევდათ ბავშვის დატოვებაზე ფიქრი და ზრუნვა. გამოიკვეთა ის ტენდენციაც, რომ ონლაინ ჩართვას უფრო მეტი ადამიანი ესწრება და ინფორმაცია უფრო ფართო აუდიტორიისთვის ხდება ხელმისაწვდომი, რასაც ორგანიზაციების მხრიდან მოჰყვა ონლაინ სივრცის საგანმანათლებლო პროდუქტებით დატვირთვა (საინფორმაციო ვიდეო-რგოლები, პოსტერები, ჩართვები, სტატიები).

მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში აღინიშნა, რომ ორგანიზაციას, პარტნიორი სასწავლო ცენტრის დახურვის გამო, დროებით მოუწია ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი ინგლისურის შემსწავლელი ურსების შეჩერება.

- აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ სივრცეში გადანაცვლებული საგანმანათლებლო სერვისები ყველა სეგმენტისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. ამ მხრივ, განსაკუთრებული პრობლემა შეექმნათ რეგიონისა და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ შესაბამის ტექნიკასა თუ ინტერნეტზე.

„მუსტად ახლა ჩვენს გვაქვს პედაგოგებისთვის, ბაღის აღსამრდელებისა და აღსამრდელების მშობლებისთვის, გარემოს დაცვასთან დაკავშირებით უნდა ჩაგვეტარებინა ტრენინგები, უნდა ჩაგვეტარებინა ბავშვთა უფლებებზე, უნდა ჩაგვეტარებინა ქალთა უფლებებზე. მოკლედ რა ნორმატიული აქტები მუშაობს ქვეყანაში, საერთაშორისო რა კანონმდებლობა არსებობს ამასთან დაკავშირებით, ეს უნდა მიგვეწოდებინა, მაგრამ ჩვენ ეს უნდა ჩაგვატარებინა აპრილის თვეში, მაგრამ ამ წუთამდე რაც უნდა ჩაგვეტარებინა, არც ერთი ტრენინგი არ ჩაგვიტარებია, იმიტომ, რომ აღსამრდელებს, ვინც უნდა ჩაგვერთო, ეს არის სამღვრისპირა სოფელი, ძალიან ბევრს არა აქვს ხელმისაწვდომობა, არა აქვს უნარ-ჩვევები მუმში როგორ უნდა ჩაერთოს, და გულწრფელად რომ გითხრათ, ის მსმენელები, რომლებიც უძლიერესები არიან გარემოს დაცვაში თუ ბავშვთა უფლებებში, თვითონ გაიარეს ეს ტრენინგები ონლაინში, როგორ უნდა ჩაატარონ ტრენინგები.მანამ, სანამ ისინი არ ჩაერთვებოდნენ და თვითონ არ გაივლიდნენ ამ ონლაინ ტრენინგების ჩატარების მეთოდოლოგიას და რა მექანიზმები არსებობს, მათ ვერ მივცემდი უფლებას, რომ... თვითონ არიან ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით უძლიერესი ტრენერი, უძლიერესი ტრენინგი ჩაუტარებია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ონლაინ რეჟიმშიც ისეთი უძლიერესი იქნებოდა ტრენინგი მის მიერ ჩატარებული. ასე, რომ როგორ არა, შეფერხდა, ონლაინ რეჟიმში მომუშავე ტრენერების მოძებნა არ არის ადვილი საქმე.“

[თანაზიარი]

„არ გამხდარა რომელიმე სერვისის მიწოდების შეწყვეტა საჭირო. მოგ შემთხვევაში იგივე ინტენსივობა იყო, მოგგან ნაკლები. საერთო ჯამში კარგი დასწრება იყო. იყვნენ ისეთები, რომელთაც არ ჰქონდათ ინტერნეტი ან კომპიუტერი, თუმცა ძალიან უნდოდათ ჩართვა. იყო შემთხვევა, როცა მეზობელი მივიდა მეორესთან და ისე დაესწრო იმიტო რო ძლიან უნდოდა დასწრება”.

[სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება]

„ინგლისურის გაკვეთლები იყო რომელიც დროებით შეჩერდა იმიტომ რომ ის სასწავლო ცენტრი დროებით დაიხურა და გააგრძელებენ ისევ სწავლების კურსს.“

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

„ონლაინ გაკვეთილები გვქონდა მებოსტნეობის და პედაგოგს უხაროდა ასეთი ჯგუფი არ მყოლიაო, ყველაფერზე პრაქტიკული გამოცდილების მიღება შეგიძლიათ ადგილზეო.“

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

„ორგანიზაცია ეტაპობრივად იმ თემაზე რაზეც ვმუშაობთ ვთარგმნით მნიშვნელოვან სტატიებს და ვაკეთებთ თარგმანებს, რომელიც ქვეყნდება ეტაპობრივად. დიდი ამბები რომ არის ამერიკაში ატეხილი ბლექ ლაივს მეთერსთან დაკავშირებით და რაღაცნაირად მოვამზადეთ რასიზმთან დაკავშირებით რამოდენიმე მნიშვნელოვანი თარგმანი შშმ პირებზე, ქალთა უფლებებზე, იმ თემებზე რაზეც ვმუშაობთ გვინდა, რომ სტატიები და თარგმანების ფორმატითაც მოსახლეობას რაღაც ინფორმაცია მივაწოდოთ და ასევე ეს არის მულტიმედია პროდუქტების შექმნა, ვიდეოები, სადაც არის მოყოლილი ამბები მარტივად. ბოლო მნიშვნელოვანი თემა რაც გამახსენდა იყო მევახშეობის საკითხი, რომელიც არის ძალიან მწვავე თემა ქვეყანაში, დაკრედიტების მტაცებლური მიდგომა. რაღაც ასეთი ტიპის ინფორმაციის მიწოდების ფორმა გვქონდა, მათ შორის შრომით უფლებებთან დაკავშირებით და თუ ეს შეიძლება საგანმანათლებლოდ ჩავთვალოთ. ეს აქტივობები ვიტყვი, რომ პირიქით უფრო გაქტიურდა და ინტენსიური გახდა.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„საგანმანათლებლო სერვისების მიწოდება იყო ყველაზე მარტივი, იმიტომ რომ ადვილი გახდა ონლაინ სივრცეში ამ ყველაფრის გაკეთება და საკმაოდ საინტერესოც, რადგან ასე არ გვიმუშავია არასდროს, მაგრამ ეგ არ გართულდა ნამდვილად, უფრო მეტიც გარკვეულ სეგმენტს ეგ უფრო გამოადგა, მაგალითად ჩვენ ვმუშაობთ მშობლებთან რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვები და პირისპირ შეხვედრები მათთვის უფრო რთული იყო რადგან იქ დამტოვებელი და ასე შემდეგ.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

4.3.4. სათემო და საადვოკაციო აქტივობები

COVID-19 პანდემიის გავლენა მნიშვნელოვნად აისახა ორგანიზაციების დაგეგმილ სათემო და საადვოკაციო აქტივობებზე. რესონდენტების თანახმად, ფაქტობრივად, სრულიად ჩაიშალა პანდემიის კრიტიკულ პერიოდში ჩანიშნული სათემო შეხვედრები გადაადგილებისა და სოციალური თავყრილობების აკრძალვის გამო. ამასთან, მნიშვნელოვნად გაჭირდა სათემო აქტივობების დისტანციური სტილით ჩატარება - ვერ მოხერხდა ონლაინ სივრცეში იმ მოწყვლად ჯგუფის თავმოყრა, რომელთათვისაც დაგეგმილი იყო სათემო აქტივობები.

- კომპიუტერსა თუ ინტერნეტზე მიუწვდომლობის გარდა, პრობლემას წარმოადგენდა სექს სამუშაოთი დაკავებულებთან შეხვედრაც. რესპონდენტის თანახმად, ამ ჯგუფთან შეხვედრა ძირითადად კონკრეტულ ადგილებზე მისვლით ხდებოდა, თუმცა კომენდანტისა და სოციალური დისტანციის შემოღების გამოამ ჯგუფის პოვნა ქუჩებში შეუძლებელი გახდა. საინფორმაციო სამედიცინო - ფსიქოლოგიურმა ცენტრმათანადგომამ ამ სეგმენტზე გასასვლელად ახალი პრაქტიკა დაგეგმა, რაც სექს სამუშაოთი დაკავებულ ბენეფიციართა ონლაინ საკომუნიკაციო/ გაცნობითი აპლიკაციების საშუალებით მოძიებას გულისხმობდა.

ერთეულ შემთხვევაში აღინიშნა, რომ ორგანიზაციას მინიმალური სირთულე შეექმნა დაგეგმილი სათემო აქტივობების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში აღინიშნა, რომ ორგანიზაციაში რამდენიმე თანამშრომელი კონკრეტულად ივენთების ორგანიზების საკითხზე იყო პასუხისმგებელი, რომლებიც წინასწარ აწესრიგედბნენ და ატრენინგებდნენ სამიზნე აუდიტორიას.

„ვერ მივდივართ თემთან, ვერ მივდივართ ჩვენ ახლა გვქონდა შეტანილი ცესკოში, ცესკოს სასწავლო ცენტრში გვქონდა შეტანილი პროექტი და პროექტის ფარგლებში უნდა გვემუშავა 3 მუნიციპალიტეტში, ადგილზე თემში გავდიოდით, მოკლედ სოფლებში გავდიოდით ძველი ტერმინოლოგიით და სოფლებში ადგილზე უნდა ჩაგვეტარებინა საინფორმაციო შეხვედრები. პროექტზე უარი გვეთქვა იმიტომ, რომ თემში, აბაშაში, ერთ-ერთ სოფელში, თუნდაც სენაკის სოფელში, ცოტა რთულია აქედან თავი მოუყარო თუნდაც 10 ადამიანს, ზუმში ჩართო ათივე და მთელი სამი საათის განმავლობაში, ზოგჯერ ორ დღიან ტრენინგებს ვატარებდით ახალგაზრდებისთვის ხომ? და ორდღიანი ტრენინგის ფარგლებში ჯერ ხომ უნდა მოიძიო ეს ახალგაზრდები, ჩვენ უშუალოდ გავდიოდით ადგილზე, საინფორმაციო შეხვედრებს ვატარებდით ადგილზე, მერე აქტიურ ახალგაზრდებს ვარჩევდით და შემდეგ უკვე საოლქოში ვუტარებდით მაგათ ტრენინგებს და ასეთი პროგრამა გვქონდა. ჩვენ ამ წუთას ეგეთ რაღაცას ვერ ვაკეთებთ, შეუძლებელი იყო და პროექტის დაფინანსებაზე უარი გვეთქვა.“

[თანაზიარი]

„ჩვენ ონლაინ ჩართვები გვქონდა, ვცდილობდით ყოველ შემთხვევაში, ყველა ვერ შემოდიოდა და დავანებთ თავი იმიტომ, რომ ვიღაც შემოდიოდა, ვიღაც ვერ შემოდიოდა, ყველა ვერ ახერხებდა და ხან 3 ხან 4 კაცი ვიყავით, ხან 6, მაგრამ ეს სისტემატიურობა გვინდოდა გვქონოდა და გვქონდა ეს კავშირი. რეგიონებს მეილებს ვწერდით, ხანდახან რეგიონის წარმომადგენლებიც გვერთვებოდნენ. რთულია და გაჭირდა ეს ყველაფერი და უკუკავშირიც გვქონდა.“

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

„პრინციპში არ ყოფილა სირთულე, რაღაც ერთგვარი გაიდლაინივით შევიმუშავეთ და თავიდან რა ინფორმაციებიც გავეცით და მერე 2, 3 ადამიანია, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელი არის ხოლმე ივენთების კომუნიკაციის ნაწილში და ამ ადამიანებმა იციან და უშუალოდ ისინი გეგმავენ ხოლმე ამ პროცესებს.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

საადვოკაციო ტიპის შეხვედრებთან დაკავშირებით მოხდა პრიორიტეტების გადაწყობა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მცირე შეფერხებებით მაინც ჩატარდა ის შეხვედრები, რომლებიც ეხებოდა COVID-19 პანდემიას და/ან ორგანიზებული იყო პრემიერირ მინისტრის ადმინისტრაციის მიერ. თუმცა, შეხვედრები, რომლებიც დაგეგმილი იყო პანდემიის გამოცხადებამდე და ორიენტირებული იყო ზოგად საკითხებთან, როგორიცაა მდგომარეობა შშმ პირების დღის ცენტრებში, მეწარმე ქალების პრობლემები, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები და სხვა, გადავადდა გაურკვეველი დროით.

- თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციები ფიქრობენ მობილიზაციის აქტივობების ჩატარების ალტერნატივას მაგალითად, შეხვედრები ჩაატარონ რამდენიმე ნაკადად ისე, რომ არ დაირღვეს 10 ადამიანამდე შეკრების რეგულაცია.

„ჩვენ გავქვს მეწარმე ქალებთა დაგეგმილი შეხვედრები. პირველი მოვასწარით. იყო ასევე შეხვედრები დაგეგმილილ გენდერთან დაკავშირებით. ჩვენ კიდევ ვაპირებთ რომ შევხვდეთ საბჭოს. 1/3 მაინც უნდა იყოს ჩატარებული. პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა ახლა ჩატარდება თუ მერე ამიტომ, ჯერ-ჯერობით გადაიდო”.

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციის თანამშრომელი დაგვიკავშირდა, როგორც მე ისე სხვა ორგანიზაციებს და ერთად გვქონდა მსჯელობა რა სახის პრობლემები გვაქვს. ჩემგან კიდევ მოითხოვეს წერილობითი სახით გაწერას ჩვენი პრბლემების. ესენი გადავეცით, თუმცა ნაწილზე რაღაც ყურადღება გამოხატეს ნაწილზე, როგორც ყოველთვის.“

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„ერთი, მაგალითად, არაფორმალური შეხვედრა, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობასა და უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების პლატფორმა, რომლის შეხვედრაც იყო დაგეგმილი მარტში, არ ჩატარდა, და რაღაც საკითხები, რომლებიც უნდა განხილულიყო, დაეკიდა ჰაერში, მაგრამ ეს არ იყო ურგენტული საკითხები, შესაბამისად, თუ დაუშვებენ შეკრებას, შევიკრიბებით, თუ არა - ჩავატარებთ ონლაინ.“

[თანადგომა]

“კიდევ გვქონდა ქალებთან რაღაც შეხვედრები დაგეგმილი და ახლაც ვწყვეტდით სწორედ, რომ, იქნებ, მცირე ჯგუფებთან გავაკეთოთ, ფართო ჯგუფებთან ვერ გამოვა, მაგრამ 10 კაცი რომ შეიკრიბოს, ეგეც საქმეა და ეგ ონლაინ არ ღირს.“

[თანადგომა]

„საკმაოდ ბევრი შეხვედრა იყო ონლაინ. ის რაც ძირითადი და მნიშვნელოვანი იყო ის აქტივობები არ გადავადებულა ესე ვთქვათ.“

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

„ცალკე დავგეგმეთ ეს შეხვედრა ბენეფიციარების ქეისებთან დაკავშირებით გვქონდა ეს შეხვედრები რა თქმა უნდა. იყო რაღაც-რაღაცეები, ჩვენ საბჭოს წევრები ვართ, მოხდა ისე, რომ რაღაც გამორჩათ და იყო ესეთი რაღაცეები, მერე ჩვენ ვწვალობდით, ცალკე ვიხოდებოდით, მანქანით გავუარეთ, წამოვიყვანეთ, რა თქმა უნდა იყო ესეთი პრობლემები. იდეაში არც ჩაშლილა, უბრალოდ ჩატარდა, მაგრამ ვერ მოხერხდა დაკავშირება რაღაცნაირად, რატომ ვერ მოხერხდა თვითონაც უკვირდათ და ჩვენც ძალიან გაგვიკვირდა, მაგრამ მერე ასე ვთქვათ აღვადგინეთ ის ხარვეზი რაც იყო და ცალკე მოგვიწია დამატებით დაძაბვა და შრომა, როცა შეგვეძლო დიდ შეხვედრაზე განგვეხილა, მაგრამ ეს შეხვედრაც რა თქმა უნდა ონლაინ ტარდება და ძალიან ოპერატიულად მაიდენტიფიცირებელი ჯგუფი მუშაობს ტრეფიკინგთან დაკავშირებით, თუ რამე იყო ძალიან ოპერატიულად მოხდა ყველანაირი შეხვედრაც, გადაწყვეტილების მიღებაც, გასაუბრებაც და ა. შ. მაგრამ პანდემიამ აქაც იმოქმედა იმიტომ, რომ რაღაც სერვისის მიწოდება და პანდემიის გამო დროში გაჭიანურდა.“

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

„დაგეგმილი გასვლითი ტრენინგები ჟურნალისტებთან კონკრეტული თემის ადვოკატირებით და რაღაცნაირად ონლაინ სივრცეში უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა და ამრს დაკარგავდა, ის ეფექტი არ ექნებოდა რაც საჭიროა და ვთქვით, რომ ახლა ამ პერიოდში არ არის საჭირო ეს და მოკლედ ესეთი საკითხები გადავდეთ, მათ შორის ეს იქნებოდა რაღაც უწყებებთან საადვოკატო ტიპის შეხვედრები, რარაც გასვლითი 2 დღიანი შეხვედრები, სადაც მიდის მსჯელობა რაღაც საკითხებზე.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„ახლა ჩვენ გვაქვს დაგეგმილი მობილიზაცია. დიდი რაოდენობით ქალებს ვერ მოვიყვანთ,ამიტომ ვცდილობთ ნაწილ-ნაწილ ვიმუშაოთ, ხუთშაბათს გვქონდა ტრენინგი და მოგვიწია ორად გაყოფა ორ სხვადასხვა ოთახში.“

[თანხმობა]

4.4. სახელმწიფოს მუშაობა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტები განსხვავებულად აფასებენ სახელმწიფოს მუშობას COVID-19 პანდემასთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებსა და სხვა პრობლემატურ თემებთან მიმართებაში. გამოკითხულთა თანახმად, სახელმწიფომ ახალ კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში გამოავლინა მოქნილობა და დროულობა, თუმცა, შეფერხდა სხვა, მანამდე პრიორიტეტული თემები, როგორიცაა ქალების უფლებები, შშმ პირების მდგომარეობა, ლგბტ თემის პრობლემები. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პანდემიამდე ჩანიშნული შეხვედრები კანონმდებლობის დახვეწასთან დაკავშირბეით დროებით გაუქმდა და გადაიდო სიტუაციის დასტაბილურებამდე.

გამოკითხული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სახელმწიფო ორგანოებთან მუშაობასთან დაკავშირებით განსხვავებული გამოცდილების შესახებ ისაუბრეს. ნაწილის თქმით, ურთიერთობის პროცესში არ ყოფილა რაიმე სახის შეფერხებები, ინფორმაციასა და მომსახურებას იღებდნენ ონლაინ რეჟიმში, თუმცა იმავე ვადებში. ამისგან განსხვავებით, ორგანიზაციამ - პარტნიორობა ადამიანთა უფლებებითვის - წარმომადგენელმა გამოთქვა უკმაყოფილება იუსტიციის სახლის მუშაობასთან დაკავშირებით, რამაც დაბრკოლება შეუქმნა ორგანიზაციის საქმიანობის პროცესს.

- რესპონდენტის თანახმად, საგანგებო მდგომარეობისას ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს დასჭირდა პირადი ელექტრონული ხელმოწერა, რისი მიღებაც ვერ შეძლეს იუსტიციის სახლის შეფერხებული მუშაობის გამო.

ორგანიზაციებმა - პარტნიორობა ადამიანთა უფლებებისთვის და პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის, უკმაყოფილება გამოთქვეს სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. ბავშვთა და შშმ პირთა დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენლის თანახმად, მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაცია იმასთან დაკავშირბეით თუ რა ხდებოდა პანდემიის პერიოდში ბავშვთა სახლებსა თუ სტაციონარებში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა მათ მუშაობას.

„რაც შეეხება პროგრამებს მუშაობა, მაგალითად ქალ მედიატორთა წევრი ვარ, ქალი მედიატორები, არის ასეთი ქსელი, იქ გარკვეული საქმიანობა იყო დაგეგმილი, მაგალითად სამშვიდობო მიმართულებით, ტურისტულ საქმიანობაში აქტიური ჩარევა იმიტომ, რომ ეს გამოწვევა იმდენად დიდი იყო, რომ აბსოლუტურად გადაერთო ყველა მიმართულებაში, კორონა ვირუსთან ბრძოლამ გადაფარა მოგიერთი თემები. თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიაზე სიტუაცია ნამდვილად არის ჩვენი საგანი და ჩვენი ყურადღების სფერო ასე, რომ ეს რჩება ჩვენი ორგანიზაციისთვის ერთ-ერთ მნიშვმნელოვან თემად.“

[იმედი]

„იმდენი პრობლემა გამოჩნდა ამ COVID-19-ის დროს, რომ რა სამუშოებიც იყო დაგეგმილი ყველაფერი გაჩერდა და გადავადდა. დაგეგმილი იყო კანონების გადახედვა (შშმ პირებთან დაკავშირებით) მაგრამ ვერ გააგრძელეს. გვითხრეს რომ გაგრძელდება მაგრამ ჯერ არ ღირს, ცოტა მოგვიანებით. ყურადღება მიანც COVID-19-ზე იყო მიმართული. მარა მოგჯერ იყო, აი სტრატეგიულ გეგმებზე იყო მსჯელობა. ფრაგმენტულად იყო მაგრამ ძირითადად მაინც COVID-19-ზე”.

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„რათქმაუნდა, ფორმა თვითონ სერვისის მიღების შეიცვალა თუმცა იუსტიციის სახლით ჩვეულებივად კარგად ვისარგებლეთ. წინასწარი რეგისტრაცია გავიარეთ ვებ გვერდის მეშვეობით და ძალიან ნორმალურად და მისაღები ფორმით იყო სერვისი გაწეული.“

[ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი]

„სახელმწიფოს ჰქონდა სხვა და სხვა თემების განხილვა, უწყებათშორისო საბჭო იცით ალბათ, არის ადამიანის უფლებათა უწყებათშორისი საბჭო, რომელთანაც შედის აბსოლუტურად ყველა უფლებებზე მუშაობა და არის პრემიერ მინისტრის აპარატთან არსებული და განიხილებოდა სხვა და სხვა თემები და იყო ისე, რომ 2 შევხედრას გამოვაკლდით იმიტომ, რომ ინფორმაცია ვერ მოვიდა ჩვენამდე და გული დაგვწყდა. შემდეგი 2 იყო ფსიქოლოგიის კუთხით და სწორედ თხოვნა იყო, რომ ჩართულიყო ფსიქოლოგი და ფსიქოლოგი ჩაერთო, დევს კიდეც ჩვენს გვერდზე ეს ჩართვა, ეს აქტივობა ჰქონდათ.“

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

„სახელმწიფოს ჰქონდა სხვა და სხვა თემების განხილვა, უწყებათშორისო საბჭო იცით ალბათ, არის ადამიანის უფლებათა უწყებათშორისი საბჭო, რომელთანაც შედის აბსოლუტურად ყველა უფლებებზე მუშაობა და არის პრემიერ მინისტრის აპარატთან არსებული და განიხილებოდა სხვა და სხვა თემები და იყო ისე, რომ 2 შევხედრას გამოვაკლდით იმიტომ, რომ ინფორმაცია ვერ მოვიდა ჩვენამდე და გული დაგვწყდა. შემდეგი 2 იყო ფსიქოლოგიის კუთხით და სწორედ თხოვნა იყო, რომ ჩართულიყო ფსიქოლოგი და ფსიქოლოგი ჩაერთო, დევს კიდეც ჩვენს გვერდზე ეს ჩართვა, ეს აქტივობა ჰქონდათ.“

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

„დიდწილად ამ შემთხვევაში უფრო COVID-19-ის ამბავი იყო იმიტომ, რომ კონკრეტული განხილვები პარლამენტში, არ იყო კონკრეტული კანონპროექტები. ახლა ვიცით, რომ შრომითი კანონპროექტის მნიშვნელოვანი განხილვები უნდა დაიწყოს, ეს აქამდე არ მომხდარა და ამაზე აქამდე შეჩერებული იყო პროცესი, უშუალოდ სასამართლო პროცესები ჩვენი ბენეფიციარებისთვის არის სასამართლოში და ბუნებრივია, რომ იმ ინტენსივობით ვერ გაგრძელდებოდა და კონცენტრირება იყო უფრო მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„COVID-19-თან მიმართებაში კარგად იმუშავეს მაგრამ სხვა საკითხები დარჩათ გვერდით. სხვადასხვა მნიშვნელოვანი კანონპროექტები შეჩერდა და უყურადღებოდ დარჩათ.“

[ლეა]

„ერთადერთი წყარო არის სახელმწიფო ინფორმაციის მოწოდების და როცა ერთადერთი წყაროა სახელმწიფო ის გაატარებს იმ ინფორმაციას რომელიც მას აწყობს, მანამდე უამრავი სხვა წყარო გვქონდა, ეხლა არა გვაქვს, ამიტომ ეხლა რომ დაესწროთ პერიოდულად საინფორმაციო შეხვედრებს რომ აკეთებენ ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ რაღაცეებს და მე არც კი შემიძლია კრიტიკულად შევხედო. კრიტიკა ხომ ნიშნავს რომ რაღაცა ალტერნატივა მაქვს. ყველანი ვიყავით დაპაუზებულები და მოქმედებდა ერთი აქტორი.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

სახელმწიფოსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა

განსხვავებული აღმოჩნდა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სახემლწიფო ორგანოებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ COVID-19 პანდემიის პერიოდში სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და ითვალისწინებდა მათ რჩევებს ადამიანთა უფლებების კუთხით. ამასთან, გამოვლინდა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია („იმედი“, „თანაზიარი“), რომლებიც პანდემიის პერიოდში კომუნიკაციაში იყვნენ სახელმწიფოსთან, კერძოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან და კოორდინირებულად ახერხებდნენ მოსახლეობის დახმარებას.

ამის მიუხედავად, ძირითად შემთხვევაში ორგანიზაციები საუბრობდენენ სახელმწიფოს მხრიდან მათი რეკომენდაციების უგულვებელყოფასა თუ მისკომუნიკაციის შედეგად არასრულფასოვანი სამოქმედო გეგმის ხარვეზებზე.

- ორგანიზაციის, „პარტნიორობა ადამიანთა უფლებებისთვის“, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ მათი რეკომენდაცია არასრულწლოვანთა გათავისუფლების შესახებ, რომელიც მსოფლიო პრაქტიკის შესწავლის შედეგად შესთავაზეს სახელმწიფო უწყებებს, არ გაითვალისწინა.

- ამასთან, გამომჟღავნდა შემთხვევა, როცა პრემიერ მინისტრის ადმინისტრაცია ბენეფიციარების საჭიროებების გასაგებად კონკრეტულ ორგანიზაციებს დაუკავშირდა, გამოითხოვა მათგან ადამიანების საჭიროებების სია, თუმცა რესპონდენტის თანახმად, კვლევის მიმდინარეობის მომენტში ამ ადამიანებისთვის დახმარება ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი.

ამასთანავე, გამოკითხულთა ძირითადი ნაწილის თქმით, მათსა და სახელმწიფოს შორის არ ყოფილა კოორდინირებული მუშაობა, რაზეც რესპონდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ. აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რესურსი გამოყენებული არ იყო სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. მათი თქმით, სახელმწიფოს არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება და რესურსი შეეძლო გამოეყენებინა სამოქმედო გეგმის ყველა სეგმენტზე მორგების კუთხით, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად და კონკრეტულ ჯგუფებზე ორიენტირებული მუშაობის განსახორციელებლად.

რესპონდენტებმა გამოარჩიეს ის სეგმენტები, რომელთა მდგომარეობაც/საჭიროებებიც ყველაზე ნაკლებად იყო გათვალისწინებული სახელმწიფოს მხრიდან:

- **თვითდასაქმებული ქალები** - აღინიშნა, რომ თვითდასაქმებულთა ძირითად ნაწილს წარმოადგენენ ქალები, რომელთაც პანდემიის პერიოდში დაკარგეს სამსახური და დასაქმებულის სტატუსის დადასტურება გაუჭირდათ, შესაბამისად ვერ აიღეს სახელმწიფოს მიერ დანიშნული კომპენსაცია.

- **ეთნიკური უმცირესობები** - რესპონდენტების თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს გამორჩათ COVID-19 პანდემიის შესახებ ინფორმაციების დროულად გავრცელება ეთნიკური უმცირესობების ენებზე, რამაც გამოიწვია ვირუსის შიდა კერების გაჩენა, სწორედ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

- **ლგბტ თემი** - გამოკითხულთა თქმით, სახელმწიფო ჩვეულებრივ სიტუაციაშიც უგულვებელყოფს ამ კონკრეტული თემის პრობლემებს, თუმცა ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის შემუშავებულმა გეგმამ კიდევ უფრო გაართულა მათი მდგომარეობა. ამასთან, ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის არც ერთი ნაწილი არ იყო ლგბტ თემის წარმომადგენლებზე მორგებული, შესაბამისად, ეს ჯგუფი დარჩა სახელმწიფო დახმარების გარეშეც.

„ჩვენ ახლა სხვადასხვა ხერხებით ვცდილობთ, მოსახლეობას ინფორმაცია მივაწოდოთ. თუ მუნიციპალიტეტში არის რაიმე (სახელმწიფო) ფონდი, ჩვენ სახელმწიფოსთან გვაქვს მიმართება, რომ რასაც თქვენ ვერ ახერხებთ, ჩვენ გავაკეთებთ საერთაშორისო ფონდების დახმარებით. ხოდა ძალიან კარგი იქნება თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულება გამოსწორდეს. სახელმწიფოსგან გვინდა მეტი თანამშრომლობა და მეტი, მეტი ნდობა შეიძლება თანამშრომლობენ მაგრამ ნდობა ნაკლებია.“

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„გააჩნია სად და რა საკითხში. ჩემი მიმართულების მხრივ, თვითონ სახელმწიფოსგან მოდიოდა თხოვნები, რომ მიგვეწოდებინ არეკომენდაციები ამასთან დაკავშირებით.“

[საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია]

„ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობებისთვის. აქ პრობლემაა ენის ბარიერი, შესაბამისად, ინფოს გავრცელება მათთვის გასაგებ ენაზე ძალიან მნიშვნელოვნაი, რომ სრულად იცოდნენ. ამასთან დაკავშირებით, საიას რეკომენდაცია იყო, რომ 112-ის აპი ეთარგმნათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რომ შესძლებელი ყოფილიყო გაგება. ეს რეკომენდაცია არაა გათვალისწინებული, თუმცა, ძალიან ოპერატიულად დაიგზავნა საინფორმაციო მესიჯები.“

[საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია]

„ჩვენ თანამშრომლობითი ნაწილი არ გვქონია, ერთადერთი ის, რომ ჩვენ ისედაც მივდიოდით რეგიონში და ვამბობდით ამა და ამ ადამიანებს ეს პრობლემები აქვთ და იმოქმედეთ, რაღაც შეცვალეთ, დაფინანსება და რაც იყო საჭირო იმის მიხედვით ანუ, თორემ მათი მხრიდან ერთობლივად გეგმაზე მუშაობა ან ექსპერტულად ჩართულობა.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„აქაც მთლიანობაში რომ შევაფასო უფრო მეტად ამოვალ იმ ჯგუფებთან მიმართებით ჩვენ ვიზეც ვმუშაობთ და რა გამოცდილებებიც გვაქვს იდეაში ვერ ვიტყოდი, რომ იყო ეფექტური, გვახსოვს, რომ ეთნიკური საერთოდ გამორჩა სახელმწიფოს, რომ მათ ენაზე მიეწოდებინა და ეს ადამიანები ისე ჩაკეტეს, რომ არ იცოდნენ რა ხდებოდა მათ თავს.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„არასამთავრობოებთან თანამშრომლობა კარგი იქნებოდა. იგივე ჯანდაცვის საკითხებში მივცემდით რეკომენდაციებს. კრიზისული გეგმის ჩამოყალიბებაში და ფინანასების გადანაწილებაში. ჩვენი ბენეფიციარიდან ბევრი მუშაობს კერძო კომპანიაში და ეს ვერ წარადგენს საბუთს ხო? ამიტომ ასეთ საკითხებსი კოორდინაცია ჯობდა.“

[ლეა]

„მაგალითად ერთ-ერთი ძალიან კონკრეტული რეკომენდაცია იყო პატიმრობაში მყოფი ბავშვების დაუყოვნებლივი განთავისუფლება, რაც ჩვენმა ქვეყანამ არ გააკეთა და ლაპარაკია 40 ბავშვზე. 40 ბავშვი სახლში რომ დაებრუნებინათ ჩვენ გვქონდა ეს რეკომენდაცია პირადად ჩვენს ორგანიზაციას.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

„ეს არის ძალიან რთული საკითხი. მე ძალიან მინდოდა გამეკეთებინა, განვითარების სამი ეტაპი რომ შემოგვთავაზა პრემიერმა,იმის გენდერული ანალიზი. საერთოდ აღმოვაჩინე,რომ როცა კრიზისული პერიოდი არის,ქალები არსად არ არიან გათვალისწინებულები არც ერთ ეტაპზე. როგორც თავიანთი შესაძლებლობებით და შესაბამისი საჭიროებებით. იგივე პროგრამა,რომელიც იყო დასახელებული,არც ერთ ეტაპზე შესაბამისი აქცენტები არ კეთდებოდა და ყურადღება არ ეთმობოდა ქალებს. სამწუხაროდ,ეჭვი მეპარება,რომ ეს შესაბამისად ვინმეს დაემუშავებინა,თუმცა ეს ძალიან მნიშვნელოვანია. არ იყო მათი ინტერესი დაცული. პირველ რიგში ყველაზე თვალსაჩინოა ის,რომ თვითდასაქმებულთა დიდი წილი მოდის ქალზე. იგივე ძიძების/მომვლელების,ოჯახში დამხმარე ქალების არანაირი პროგრამული დახმარება არ იყო გაწერილი.“

[დამოუკიდებელი ექსპერტი]

„სხვა არასამთავრობოები იყვნენ, მაგრამ ჩვენ არა. თუ რაიმეთი მივმართავთ ეხლაც არაღაცა ისინი გვჭირდება მოგვცემენ, მაგრამ რაღაცა შეკრება რა გჭირდებათ და რა გაგიკეთოთ ესეთი რაღაც არ ყოფილა.“

[ბოლნისის ენის სახლი]

4.5. კრიზისის გამკლავების საუკეთესო პრაქტიკები და რეკომენდაციები

კვლევის მონაწილე ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლისას გამოვლინდა, რომ კრიზისის გამკლავების საუკეთესო პრაქტიკა უმეტესი მათგანისთვის აღმოჩნდა ორგანიზაციის საქმიანობის ადაპტირება ონლაინ სივრცესთან და დისტანციური სერვისების/მომსახურებების შემოღება.

რესპონდენტების თანახმად, პანდემიის პერიოდში ორგანიზაციებში დაინერგა სხვადასხვა ინოვაციები ბენეფიციარებისთვის სერვისის/მომსახურების დისტანციურად მიღების გასამარტივებლად: ზუმის პლატფორმა, ცხელი ხაზი, სატელეფონო კონსულტაცია ექიმთან/იურისტთან/ფსიქოლოგთან, სალექციო ჩართვები ფეისბუქ ლაივის გამოყენებით, სექს სამუშაოთი დაკავებული ბენეფიციარების ონლაინ მოძიება. რესპონდენტების შეფასებით, აღნიშნულმა ინოვაციებმა ორგანიზაციებს საშუალება მისცა დაეზოგათ დრო, ფინანსური ხარჯი (ტრანსპორტირების, ფურშეტის, საკანცელარიო მატერიალები) და ამასთან, გაეფართოვებინათ სამუშო არეალი.

- აღინიშნა, რომ დისტანციური საშუალებების დახმარებით, ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო ჩართვები ან სხვადასხვა სერვისები/მომსახურებები უფრო მეტი ბენეფიციარისთვის გახდა ხელმისაწვდომი, როგორც ქალაქის, ისე რეგიონისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის.

„საუკეთესო გმა მაინც არის გადასვლა ონლაინ დისკუსიებზე. მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ეს იყო კარგი გმა. ყოველთვის მჯეროდა, რო საინფორმაციო შეხვედრებს არ სჭირდება ფიზიკური შეხვედრა. ახლა მეტი დრო მაქვს, შემიძლია თბილისი-რუსთავი არ ვიარო. მანამდე ხშირად ვიყენებდი ონლაინ კომუნიკაციას, ჩემთვის დიიდ გამოწვევა არ იყო მარა დანარჩენებმაც მალე აითვისა. იმედია რაღაც მომენტები დარჩება და არ მომიწევს თბილისში სიარული იდიოტურ შეხვედრებზე, რაც ზუმშიც თავისუფლად გამოვა. ნაკლები რესურსი, მეტი შესაძლებლობა. თან ეს შესაძლებლობას იძლევა ჩაერთოს რეგიონებიც.“

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„საუკეთესო პრაქტიკა ალბათ ის არის, რომ ონლაინ ძალიან ბევრი რაღაცის გაკეთება შეიძლება, ამას მივხვდით, რომ ბევრი რამ შეგვიძლია ონლაინ გავაკეთოთ და თუ დაგვჭირდება ამის მაქსიმალურად გამოყენება შეიძლება ალბათ და გარდა ამისა ის, რომ ჩვენი გუნდი ძალიან შეიკრა, ვგრძნობ თითოეულის გვერდში დგომას, ერთმანეთის შესახებ ბევრად ერთმანეთს გვერდში ვუდგავართ.“

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]

„მგონია, რომ დარჩება. მთელი მსოფლიო დაფიქრდება დისტანციურ სერვისებზე და ბევრი ფულიც არ დაიხარჯება ტრანსპორტირებაზე. ჩვენ ამაზე ვიფიქრებთ აუცილებლად”.

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„ორგანიზაციისთვის ცხელი ხაზი ესეც სიახლე იყო იმიტომ, რომ ჩვენ კონსულტაციებს არ გავცემთ ასე ყოველდღიურად და ერთი, რომ ჩვენს ბენეფიციარებთან გვქონოდა მუდმივი კომუნიკაცია და არ ყოფილიყო გავიყავით ჩვენ და გავწყვიტეთ ონლაინ კომუნიკაცია და ასევე იმ ადამიანებისთვის შეგვექმნა სივრცე, რომ მათ დაეფიქსირებინათ თავიანთი ამრი და ჩვენ სადაც შეგვეძლო უკვე უშუალო დახმარება აღმოგვეჩინა მათთან ერთად.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„ვფიქრობთ,რომ „ზუმი“ მომავალში დარჩება ჩვენს საქმიანობაში. ჩვენ მოგვეცა საშუალება უფრო იაფად ჩავატაროთ გარკვეული სახის ღონისძიებები. ერთ რაღაცას გაგიმიარებთ. კონფლიქტურ ზონებთან უფრო მარტივია დისტანციურად ურთიერთობა. მათი ჩამოყვანა აღარაა პრობლემა და მათთან ურთიერთობის საშუალება გვაქვს. ამის საშუალებას დისტანციური ურთიერთობა გვაძლევს. მათი ჩამოყვანა ბევრ პრობლემებთანაა დაკავშირებული. სხვა ქვეყნებთან, ის რაზეც ძალიან დიდი თანხა უნდა დახარჯულიყო,გამოვიდა,რომ უფრო იაფად „ზუმით“ შეიძლება გახორციელდეს. ასზე მეტი ადამიანის,რომლებიც სხვადასხვა ქვეყნიდან არიან,მათი ორგანიზება, სალაპარაკო დროის მიცემა,თარჯიმნის საკითხი, ამ ყველაფრის ორგანიზება ყოველთვის ძალიან რთულია,თუმცა „ზუმმა“ ეს გაამარტივა. მეორე მხრივ, სრულფასოვანი ეს არ არის.“

[თანხმობა]

კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების აზრით, პანდემიის პირობებში არასამთავრობო სექტორის ურთიერთანამშრომლობა გარკვეულ შემთხვევებში ეფექტური და შედეგის მომტანი იყო. მაგალითად, კონკრეტული რეგიონის ორგანიზაციები კოორდინირებულად ცდილობდნენ (სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციები, ქვემო ქართლი) მოსახლეობის საჭიროებების შესწავლასა და მოგვარებას.

„რეგიონის ორგანიზაციები ვინც ვართ კვირაში ერთხელ მაინც ვხვდებით ერთმანეთს და ვიცნობთ ერთმანეთს. ვისურვებდი რომ საქართველოს არასამთავრობოები გაერთიანებულიყვნენ და რაღაცას ერთიანად გააკეთებდნენ ამ ადამიანებისთვის. რაღაც კოალიციასავით, ქსელივით შექმნიდნენ. ვიცი, რომ ყველამ ცალ-ცალკე ევრო გააკეთა, მაგრამ ძალა ერთობაძიაო და რომ გავერთიანებულიყავით უფრო დიდ საქმეს გავაკეთებდით. თუმცა ამაზე დირექტორებმა უნდა იფიქრონ.“

[სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება]

„კი, ვთანამშრომლობთ, შევიკრიბეთ და ამ პერიოდში ერთ-ერთ ქალბატონს შვილის ჯანმრთელობის ის დაუდგა და ჩვენ არასამთავრობოებმა მივმართეთ მუნიციპალიტეტს და გადაუწყვიტეს. ჩვენ ეს 11 მესინჯერში ვწერთ და ერთმანეთს ვეუბნებით, ზოგი რამე მერე გამახსენდება რაც გავაკეთეთ, რასაც დღევანდელი მონაცემებითაც რაც გითხარით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კვლევა მიდის და ჩვენ არასამთავრობოები და მუნიციპალიტეტი ერთად ვართ სიებს ერთად ვაკეთებთ ვის ვკითხოთ და თანამშრომლობა ამ მხრივადაც გვაქვს.“

[ბოლნისის ენის სახლი]

„რაც მახსენდება ეს არის თანასწორობა კოალიციისთვის, რომლის ერთ-ერთი წევრი არის იემსი, იდეაში რამოდენიმე ღონისძიება დაიგეგმა ერთობლივად და იყო ლაივ დისკუსიების და ერთობლივი თემების წამოწევა წინ. ასევე ეს არის საერთო განცხადებები, მათ შორის ბოლო მახსენდება ეს იყო სახელმწიფო რომ დახმარებოდა ჩვენს მეზობლებს სომხეთს და მეტ-ნაკლებად ეს თანამშრომლობითი ნაწილი არ დაკარგულა ამ პერიოდში და რაღაც ერთობლივი ჩართულობითი განცხადებები არის საჭირო, რომ ეს კომუნიკაცია იყო.“

[ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი]

„ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით ორგანიზაციებთან და რამდენიმე პროექტი ერთად განვახორციელეთ. ასევე დევნილთა მომუშავე ორგანიზაციები. ჩვენ გვაქვს ჩვენი ჯგუფი ორგანიზაციების,თორმეტი ჯგუფი. ჩვენც ვიმუშავეთ კოორდინირებულად. ჩვენ გვქონდა კარგი დისკუსიები ონლაინ. პრინციპში, ის საშუალებები რაც ეხლა აღმოჩნდა, ზოგჯერ უფრო მეტ შესაძლებლობებს აჩენს. აჩენს კარგად ვის რა კონტრიბუციის შეტანა შეუძლია საერთო საქმეში.“

[თანხმობა]

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ COVID-19 პანდემიის შედეგად გამოწვეულ ვითარებაში ორგანიზაციების საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელებისთვის საჭიროა თანამშრომელთა მოქნილობა, დროულად ადაპტირების უნარი, შესაბამისი ადამიანური/ფინანსური/ტექნიკური რესურსი და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კოორდინირებული მუშაობა.

- რესპონდენტების თქმით, იმისთვის, რომ ორგანიზაციამ დროულად შეძლოს ცვალებად გარემოსთან ადაპტირება მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში არსებობდეს კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების წინასწარ გაწერილი გეგმა ან ამ მხრივ სპეციალიზირებული კადრები.
- ამასთან, როგორც აღმოჩნდა, COVID-19 პანდემიამ გამოკითხულ რესპონდენტებს დაანახვა, რომ ორგანიზაციის მოქნილობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ტექნიკური მოწყობილობების გამართულობა და სტაბილური ინტერნეტი.
- გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი თანხმდება, რომ ორგანიზაციის საქმიანობის ნებისმიერ სიტუაციაში გასაგრძელებლად აუცილებელია, ორგანიზაციას გააჩნდეს საკუთარი ფინანსური დანაზოგი, რასაც დონორებისთვის ბიუროკრატიული განმარტებითი დოკუმენტების გაგზავნის გარეშე გამოიყენებენ აქტუალური საჭიროებებისთვის.
- აღინიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა და კოორდინირებული მუშაობა ორგანიზაციებს დაეხმარებათ კრიზისულ სიტუაციაბთან გამკლავებაში.

„მგონი ეს მარტო ჩვენი საქმე არ არის მაგრამ ინტერნეტის ხელმისაწვდომობა იქნბეა კარგი. არა მარტო ქალაქისთვის არამედ ყველა სოფლისათვის. ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე ესაა. რა თქმა უნდა პირადი შეხვედრა ძალიან კარგია მაგრამ ეს თუ ვერ ხერხდება, ჩვენი გამოცდილებიდან, საჭიროა, რომ როგორმე დავუკავშირდეთ. მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს ამაზე და ეს საშუალებას მოგვცემს ჩვენც, რომ ჩვენი საქმიანობები გადავიტანოთ. კი კოშმარია ზუმის შეხვედრები მაგრამ თუ ტექნიკურად გამართული პროცესი იქნბე აძალიან კარგია. 10 პირადი შეხვედრა თუ გვექნება დაგეგმილი ორს ჩავატარებთ და დანარჩენი გადავა ონლაინ სივრცეში”.

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„კარგი ინტერნეტი, კარგი მოწყობილობები ინტერნეტისთვის. მე მომიწია სხვა, კარგი ინტერნეტის დაყენება. კიდევ კარგი კომპიუტერი არ გამიფუჭდა ამ პერიოდში, ძველია და მეშინოდა. კიდევ იყო შუქის გათიშვა. იყო შემთხვევა, ტრენინგს ვესწრებიდუ და შუქი გაითიშა. ტექნიკური ცოდნა, კარგი ინტერნეტი და კარგი მოწყობილობები ინტერნეტისთვის.“

[პლატფორმა ახალი შესაძლებლობებისთვის]

„მივხვდი რომ ეს აუცილებელია, თუ კონკრეტულად არ დაგვეხმარებიან რომ ორგანიზაციებმა დაწერონ კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების გეგმა და ამას პროფესიონალები სჭურდება, მე ვერ დავწერ ცხადია, არ გვექნება არც მომავალში რადგან ეს ხარჯიანი მომსახურებაა და ესეთი ფუფუნება არცერთ პროექტში არ არის.“

[პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის]

გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აღნიშნული საჭიროებების მიმართულებით ინდივიდუალურად მუშაობისთვის საკმარისი დრო, ფინანსური თუ ადამიანური რესურსი არ გააჩნიათ. შესაბამისად, რესპონდენტთა მხრიდან გამოიკვეთა გარკვეული რეკომენდაციები საკუთარი კოლეგების, სახელმწიფო ორგანოებისა თუ დონორების მიმართულებით, როემლთა გათვალისწინებაც, გამოკითხულთა თვალსაზრისით, უფრო პროდუქტიულს გახდის CSO სექტორის მუშობას.

- CSO სექტორს ფორსმაჟორული სიტუაციებისთვის თანამშრომელთა გადასამზადებლად და გეგმის შესამუშავებლად შესაბამისი რესურსი არ გააჩნია. შესაბამისად, აღინიშნა, რომ ორგანიზაციის თანამშრომლების კრიზისული სიტუაციებისთვის მზაობის კუთხით, დასაქმებულთა გადამზადებაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს სახელმწიფომ ან რომელიმე დონორმა ორგანიზაციამ.

„ნებისმიერი პანდემიის პირობებში კი არა, ნებისმიერი კრიზისის დროს ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს გავლილი ტრენინგები ამ მიმართულებით. ანუ დონორების მოძიებას მიმართულებით, დონორებს და ფულს თავი რომ დავანებოთ, რომ სამიზნე ჯგუფი რომ განზე გადავდოთ, ეს ზუმი რომ გამოჩნდა, ამდენი ადამიანი რომ ჩაერთო ეს რომ აქამდე მცოდნოდა, მეორე მესამე დღეს. რაღაც დაიკარგა ადამიანები, არ იცოდნენ რა უნდა გაეკეთებინათ, მე მგონი რომ ღმერთმა... მე არ ვიცი რა იქნება მომავალში... ეს მაინც ადაპტირებულია ზუმის პლატფორმა, ეს ონლაინ კონსულტაციები ადაპტირებულია, დონორებმა რომ სწრაფი რეაგირების კონკურსები რომ გამოაცხადონ ადაპტირებულია და ესეც იციან, პილოტი გაკეთებულია და უკვე იციან პილოტის მერე ყველაფერი ადაპტირებულია, პირველ დღეებში, როცა ასე ყველაფერი ჩაიკეტება და დაიკეტება, სარეზერვო ფონდები უნდა გქონდეს და ამაზეც რომ უნდა ვიმუშაოთ.“

[თანაზიარი]

- გარდა ამისა, გამოკითხულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მხრიდან გამოიკვეთა სურვილი, რომ კრიზისული სიტუაციებისთვის სახელმწიფოს CSO სექტორის დასახმარებლად გამოყოფილი ჰქონდეს გარკვეული ბიუჯეტი, რომელიც საკმარისი იქნება საზოგადებრივი ორგანიზაციების ელემენტარული ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად, როგორიცაა მაგალითად, ოფისის ქირა.

- რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ორგანიზაციებს შორის არ არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა. შესაბამისად, გამოითქვა სურვილი, რომ შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება, რომლის საშუალებითაც ორგანიზაციები ერთმანეთს გააცნობენ საჭიროებებსა თუ სამომავლო გეგმებს, რაც ურთიერთდახმარების გარემოებას შექმნის.

„მჭიდრო თანამშრომობა არ არის, ვერ ვიტყვი, რომ ბევრ რამეს ვაკეთებთ ერთმანეთისთვის და დიდ რამეს ვაკეთებთ ერთად თუმცა დახმარება არის მაინც. ადრე იყო ფორუმების შექმნის მცდელობები. რაღაც ეტაპამდე მიდის, მაგარმ მერე ისევ თავის საქმეს უბრუნდება ყველა. ორგანიზაციებს რეგონში აკლიათ სტაბილურობა. ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს მინიმუმ ფართი, რომ სხვადასხვა პროექტებზე იმუშონ. როცა ვინმეს პროექტი აქვს მაქსიმალურად ცდილობენ რპ თავის საქმეს მიხედონ იმიტო რო დრო არ რჩებათ”.

[საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი]

„ეს ჩვენი ფორმატიც თანამშრომლობის ფარგლებშია. მცდელობები გვქონდა,თუმცა იმდენად ყველა ერთნაირად გაურკვეველ მდგომარეობაში იყო,რომ მთლად კარგი კონსოლიდაცია ვერ მოხდა. პოსტ ფაქტუმ,როცა დაიწყო რეალურად ცხოვრებაში დაბრუნება ქვეყანამ,ეხლა მივხვდით,რომ ბევრად უფრო ეფექტურად შეიძლებოდა რესურსის გამოყენება,როგორც ინდივიდუალურად,ისე კვალიციურად.“

[საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელი]

„იცით რა, არასამთავრობო სექტორი,ქალთა ორგანიზაციები მეტ ნაკლებად ახერხებენ,თუმცა მოდით ვთქვათ,რომ ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან ხშირ შემთხვევაში დაფინანსების მოპოვების კუთხით. თუ ისინი იდეის გარშემო ერთიანდებიან და მათ შორის ფინანსური კონკურენცია არ არის,აქ კიდევ არის შესაძლებელი,რომ თანამოაზრეობა გაჩნდეს ნამდვილი იდეის გარშემო.თუმცა თუ ეს პრობლემა არის კონკურენციის ფონზე,მაშინ ისინი სამწუხაროდ ვერ ახერხებენ გაერთიანებას,თუმცა არც ერთმანეთის საწინააღმდეგოს აკეთებენ რაიმეს. ამ მოვლენამ დიდი კონსოლიდაცია მე ვერ დამანახა,არც ქალთა საკითხებთან დაკავშირებით და არც ზოგადად.“

[დამოუკიდებელი ექსპერტი]

- ამასთან, დაფიქსირდა ონლაინ პლატფორმის შექმნის იდეაც, რომლის საშუალებითაც ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მუდმივად ექნებად განახლებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რა ხორციელდება CSO სექტორში საერთაშორისო მასშტაბით.

„ძალიან კარგი იქნებოდა რაღაც არსებობდეს ისეთი, ჩვენ ვიცით რა ხდება პოლონეთში არასამთავრობოების მეშვეობით, რა ხდება შტატში იმიტომ, რომ მეგობრები გვყავს, მაგრამ ინფორმაციის გაცვლა თუ ვინ რას აკეთებს საერთაშორისო დონეზე ძალიან საინტერესო იქნებოდა გამოცდილების გაზიარების კუთხით. ალბათ რადგან არასამთავრობო დონეზე ვლაპარაკობთ ალბათ ისევ არასამთავრობო სექტორი უნდა იყოს ამის ინიციატორი.“

[ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი]